სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 თებერვალი 2006 №28 (2650) ფასი 50 თეთრი

საქართველოს შინაური დასაწყისი უნდა

კლაუს ტოპმიოლერი რუმინეთს და ჰოლანდიას ამხანაგურად ელაპარაკება

დღეს პარიზში დიდი ჯნებათა დულილია მოსალოდნელი — ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის ბინადარნი კალენდრის შედგენას ეცდებიან. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ეგებ საამისოდ მხოლოდ დღევანდელმა დღემ იკმაროს. ოღონდ, მხარეებს გვარიანი დიპლომატიის, ლავირების უნარის და... არითმეტიკის მოშველიებაც მოუწევთ.

ქართული დელეგაცია კალენდრის რამდენიმე ვარიანტით ჩავიდა საფრანგეთში და გუშინ ბოლო „რეპეტიცია" გაიარა. დღის ბოლოს კი კლაუს ტოპმიოლერმა ჩვენს კითხვებს უპასუხა...

— უკვე პარიზში ვართ. ცოტა ხნის წინ დავშორდი ბატონ ნოდარ ახალკაცს, რამდენიმე საათი ვმსჯელობდით ხვალინდელზე.

— იმედი გაქვთ, რომ ხვალინდელ შეხვედრაზე შეთანხმებას მიაღწევთ?

— მთავარია, თავიდანვე შეთანხმებულად ვიმუშაოთ და საკუთართან ერთად სხვის ინტერესებსაც გავუწიოთ ანგარიში. ასეთ შემთხვევაში კალენდრის შედგენა არ გაგვიჭირდება.

— უკრაინელები პარიზულ შეხვედრას არ ესწრებიან. მოსალოდნელი ხომ არ არის, რომ მათ კალენდარი დაბლოკონ და ყველაფერი უეფას მიანდონ?

— მართალია, უკრაინელები აქ არ იმყოფებიან, მაგრამ მათთან სატელეფონო კონტაქტი გვაქვს და ვიმედოვნებთ, ამ მხრივ შეფერხება არ გვექნება.

— გასაგებია, რომ კალენდრის შედგენისას ფრანგების და იტალიელების სიტყვას მეტი ფასი ექნება. ასეთ პირობებში თქვენი ვარიანტის გატანას შეძლებთ?

— პირველი სიტყვა მართლაც ფრანგებს და იტალიელებს ეკუთვნიო, მაგრამ უკვე მოგახსენეთ, კალენდრის შედგენა მხოლოდ კომპრომისების გზით მოხერხდება. ვეცდებით, საქართველოს ნაკრების ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

— ითქვა, რომ პირველ ტურში სტუმრად ლიტვასთან თამაში, შემდეგ კი ფარერების მასპინძლობა გვაძლევს ხელს. ხომ არ აჯობებს, პირველ ტურში საერთოდ დავისვენოთ და ოთხი დღის შემდეგ რომელიმე დაღლილ მეტოქეს ვეთამაშოთ?

— ალბათ პირველ ტურში დასვენებას იტალიელები მოითხოვენ. ჩვენ კი შევთანხმდით, რომ კარგი იქნება, თუ პირველ ორ შეხვედრას საკუთარ მოედანზე გავმართავთ.

— ალბათ დაახლოებით იმასაც დათვლიდით, რამდენი ქულა იქნება საჭირო ჯგუფიდან გასასვლელად...

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოხდება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. გერმანიაში შესაძლოა ბევრი სიურპრიზის მომსწრე გავხდეთ და ამან დიდწილად განსაზღვროს ჯგუფური ტურნირის სურათი.

— თებერვალში მალტის ტურნირი, მარტში ალბანეთი, მაისში პარაგვაი... კიდევ რამდენი ამხანაგური მატჩია საჭირო სექტემბრისთვის გუნდის მოსამზადებლად?

— იმედი მაქვს, პარაგვაელებთან მატჩი აუცილებლად შედგება. ამას გარდა, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან, 16 აგვისტოს კი შესაძლოა, ჰოლანდიის ნაკრებს შევხვდეთ.

— მალტის ტურნირზე რამდენი ფეხბურთელის გამოცდას გეგმავთ?

— ამაზე მე და ბატონმა ახალკაცმა დღესაც ვილაპარაკეთ. ამ დღეებში გაირკვევა, რამდენად შეეძლებთ მალტაში ლეგიონერების გამოყენებას. წამსვლელთა სიას ამის მიხედვით შევადგენთ.

— თბილისში როდის ჩამოდიხართ?

— დიდი სურვილი გვქონდა, 14 თებერვალს თბილისში ვყოფილიყავით და პრესკონფერენციაც გაგვემართა. სამწუხაროდ, ეს ვერ ხერხდება. კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი და ბატონ ახალკაცს ან მე ორიოდ დღით მოგვიწევს შეყოვნება.

გიორგი ნოზაძე
ნინო სილაგაძე



უკრაინელმა საქართველოში უნახავი ნახა

ინტერვიუ სიონელ ევგენი ლაშჩუკთან

2

მარადონას ქვეყნიდან ქართულ ხეობაში

ბორჯომს არგენტინელები ჩამოუვიდნენ

4

გოგშელიძეს ლობი გაუჩნდა

მოჭიდავის ამბავმა მთავრობა და პარლამენტი შემოიარა

12

უკრაინელმა საქართველოში უნახავი ნახა

ევგენი ლაშჩუკმა საქმე ააწყო: თასში მედლები ჩააწყო

„ჩემთვის საქართველო ყოველთვის თბილ ხალხთან, ფანტასტიკურ სამზარეულოსთან და ტექნიკურ ფეხბურთთან ასოცირდებოდა. უკრაინაში ქართველებს დიდ პატივს სცემენ და მგონი, ამით ახალს არაფერს ვამბობ“ — გვითხრა ევგენი ლაშჩუკმა, ბოლნისის „სიონის“ უკრაინელმა ლეგიონერმა, რომელიც ქვემოქართლელებს იალტურ შეკრებაზე მოეწონათ და სეზონის ბოლომდე შეიმატეს.

ევგენი თბილისში, სასტუმროში ცხოვრობს და გუშინ გასაუბრება რომ ვთხოვეთ, „სიონის“ ხელმძღვანელობისგან ნებართვა აიღო. ნაღდი უკრაინული ტიპი, მაღალი, პიროვნულად წყნარი, უშუალო და მეგობრული ვინმე გამოდგა ბოლნისელთა ახალი ფორვარდი...

— ევგენი, შენს საფეხბურთო კარიერაზე თითქმის არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ბოლოს უკრაინის მეორელიგელ „სკა მიკოლაევში“ თამაშობდი...

— კიევის „ობოლონის“ აღზრდილი ვარ. ამ გუნდმა მეორე ლიგიდან დაიწყო და შემდეგ ოთხი წელი უმაღლესშიც ითამაშა, თუმცა მაგ დროს უკვე წამოსული ვიყავი. ჯერ „ბუკოვინაში“, მერე კი ტერნოპოლის „ნივაში“ ვთამაშობდი, სადაც რვა ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა და ვიცე-პრეზიდენტიც ქართველი გახლდათ — მდინარაძე. როდესაც „ნივა“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა, „ნეფტინიკში“ და „პოლიგრაფტეხნიკაშიც“ ვცადე ძალები, ბოლო ერთი წელი კი „სკა მიკოლაევში“ ვიყავი — ამ გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა, თავისი ფეხბურთელები მოიყვანა და თერთმეტი კაცი ტრანსფერზე დაგვაყენეს.

— „სიონის“ ვარიანტი საიდან გამოგიჩნდა?

— სელექციონერებმა მითხრეს, აქ კარგი გუნდია შეკრებაზე ჩამოსულიო. მივედი „სიონში“, სამი მატჩი ვითამაშე და ისე გამოვიდა, რომ მწვრთნელს მოვეწონე, ჩემი დასაწუნიც არაფერი ჰქონდა ამ გუნდს — კარგი ფეხბურთელები არიან, მწვრთნელიც მცოდნეა. სხვათა შორის, ერთი პერიოდი ოდესის „ჩერნომორეცში“ ვიყავი გასინჯვაზე და „სიონის“ ვარჯიშები იქაურს ძალიან წაგავდა.

— ალბათ, უკვე დაუმეგობრდი „სიონის“ ფეხბურთელებს...

— საქართველოში ჩამოსვლისთანავე ლევან ბაჯელიძემ მიმიწვია ოჯახში, ფანტასტიკურად დამხვდნენ, ქართული სტუმართმოყვარეობა აქამდე გაგონილი მქონდა, ნანახმა კი მოლოდინს გადააჭარბა. ლევანთან და გიორგი ყიფიანთან უკვე მოვასწარი დამეგობრება, თანაც, მათ სხვებთან შედარებით რუსულიც კარგად იციან. პრობლემა არაა, გახსნილი ტიპი ვარ და ყველასთან კარგი ურთიერთობა მექნება. კლუბის ხელმძღვანელობის დიდი მადლობელიც ვარ, მშვენიერ სასტუმროში დამაბინავეს.

— გეტყობა, საქართველოთი ძალიან მოიხიბლე...

— რა თქმა უნდა. საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ ქართველების მეგობრობა და ერთგულება „ნივაშიც“ დავინახე. და იცით, რა დავინახე მთავარი? ქართველი ქართველს გაჭირვებაში არასოდეს მიატოვებს. ვინმეს ერთი ქართველისთვის რომ ეწყენინებინა, ყველანი უცებ იქ გაჩნდებოდნენ.

— ქართულ სამზარეულოზე რას იტყვი? რა მოგეწონა ყველაზე მეტად?

— უგემრიელესია ყველაფერი — ხინკალი, მწვადი, ხაჭაპური... არ არსებობს, უკრაინაში ასეთს ვერ გასინჯავ.

— თბილისში მარტო იცხოვრებთუ ოჯახს ჩამოიყვან?

— მეუღლე მუშაობს და როგორ მოახერხებს აქ ჩამოსვლას, არ ვიცი.

— ისევ „სიონზე“ ვთქვათ: კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად რა დაგისახათ?

— თასის აღება და ამ თასში ოქროს მედლების ჩალაგება.

— „სიონს“ ორი კარგი თავდამსხმელი ჰყავს და ხომ არ გაგიჭირდება ძირითადში მოხვედრა?

— კოკა და სიბო (მიკუჩაძე და სირბილაძე) ხომ? ორივენი ძლიერები არიან, მაგრამ კონკურენციას მივესალმები. თანაც, სამი ფორვარდითაც ხომ შეიძლება თამაში...

— საქართველო და უკრაინა შესარჩევ ჯგუფში ისევ ერთად მოხვდნენ. რა რეაქცია ჰქონდათ ამაზე თქვენს ქვეყანაში?

— ჩვენ ერთ დროს ერთი სახელმწიფოს რესპუბლიკები ვიყავით, მაგრამ საბჭოეთის დაშლის მიუხედავად, მეგობრობა კი არ დავკარგეთ, პირიქით, განვამტკიცეთ. საქართველო — უკრაინის მატჩები ნოსტალგიის აღმძვრელიცაა, შედეგის მხრივ კი... ჩვენი ნაკრები მხოლოდ ანდრეი შევჩენკო არაა. კი, ის დიდი ფეხბურთელია, დღეს ბევრნი მისით იცნობენ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ოლეგ ბლოხინსაც ნუ დავუკარგავთ თვისას — მან შეკრა გუნდი. ვინმეს რომ ეთქვა, თურქეთში 3:0-ს მოიგებს უკრაინაო, გიჟად ჩათვლიდნენ. ჩვენთან ძლივს დაიჯერეს, რომ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა. ახლა სხვაგვარადაა, ყველას ეიმედება, რომ ამ „სიკვდილის ჯგუფიდანაც“ გავალთ — ანდრეი შევჩენკო ამდენი წელია იტალიაში თამაშობს და მათი ფეხბურთი ხომ ხუთიანზე იცის.

ილია ნანობაშვილი

ახალი ქართველი ევლახში

რომან ახალკაცი კარვანს შეუთანხმდა

რომან ახალკაცმა აზერბაიჯანულ „კარვანთან“ კონტრაქტი გააფორმა. მოგეხსენებათ, ახალკაცი აქამდე მოსკოვის „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა, თუმცა რკინიგზელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალი გუნდის მოძიებამ მოუწია. ჩვენებური აზერბაიჯანში დაახლოებით ათი დღის წინ ჩავიდა და „კარვანს“ შეუერთდა. რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარების შემდეგ კი ჩვენმა მეზობლებმა რომანს კონტრაქტი შესთავაზეს და ხელი ხელსაც დაჰკრეს. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ლიდერ ევლახურ კლუბში კიდევ ორი ქართველი — ალექსანდრე ინწკირველი და გოჩა ტრაპაიძე — თამაშობს

ამგვარად, „ლოკომოტივში“ უკვე სამი ჩვენებური დარჩა — მალხაზ ასათიანი, გიორგი ჭელიძე და მათე ღვინიანიძე.

ძახა შალამბერიძე

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ჩარლტონი 2:0 ლივერპული

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება
მიდლსბრო 1:0 ქოვენთრი
ჩელსი 4:1 ევერტონი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური
აბერდინი 2:0 რეინჯერსი
სელტიკი 2:1 ფოლკირკი
დანფერმლაინი 2:0 ინვერნესი
ჰიბერნიანი 7:0 ლივინგსტონი
კილმარნოკი 2:0 მოზერუელი

გერმანია

ბუნდესლიგა. XX ტური
ლევერკუზენი 4:0 ვოლფსბურგი
ჰანოვერი 2:1 ჰამბურგი
მიონხენგლადბახი 0:0 შალკე
ნიურნბერგი 0:1 აინტრახტი
შტუტგარტი 0:0 ვერდერი

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ბრაუნშვაიგი 0:0 კოტბუსი

იტალია

სერია A. XXIV ტური
მილანი 5:0 ტრევიზო
რომა 4:3 კალიარი
ასკოლი 0:0 ლივორნო
კიევო 1:1 სამპდორია
ფიორენტინა 2:1 ინტერი
იუვენტუსი 1:1 პარმა
ლეჩე 1:2 ემპოლი
მესინა 0:0 სიენა
პალერმო 3:1 ლაციო
უდინეზე 1:2 რეჯინა

სერია B. XXVIII ტური
კატანძარო 2:1 ტრიესტინა
კატანია 3:2 კროტონე

საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტრასბური 1:1 პსჟ

ლიგის თასი. 1/2 ფინალი
ნანსი 2:0 ლე მანი

ბელგია

II კლასი. გადადებული მატჩი
მონსი 1:0 დესელი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
ბევერენი 0:2 *მუსკრონი* (0:0)
შარლუსუ 2:0 სენტ ტრუიდენი (0:0)
ვესტერლო 3:1 *ვარეგემი* (0:3)
სტანდარდი — გენტი (1:2) გადაიდო

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIII ტური
დენ ჰაგი 0:3 ბრედა
ჰერაკლესი 1:1 ჰერენვენი
უტრეხტი 1:2 პსვ
ნაიმეგენი 1:2 ფეიენოორდი
როდა 1:0 ვალვაიკი
ვიტესი 1:2 ტვენტე
აიაქსი 1:0 ტილბურგი

პორტუგალია

თასის მერვედფინალი
ამადორა 0:1 ბოავიშტა
ავეში 1:2 აკადემიკა
ლიძსა 0:2 სეტუბალი
სპორტინგი 2:1 პარედესი
მარიტიმუ 3:0 ვილა მეა
გიმარაეში 2:0 ოლივეირენსე
ბენფიკა — ნასიონალი
წუხელ გვიან დამთავრდა

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
აგროტიკოსი 4:0 ეთნიკოსი (1:1)
აკრატიტოსი 0:1 *ლარისა* (0:1)

ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი
სარაგოსა 6:1 რეალი

ჰოლანდიური ერედივიზიონის 23-ე ტური წუხელ ჩამთავრდა, ერთი დღით ადრე კი „ალკმაარმა“ ბოლოადგილოსან „როზენდაალს“ სტუმრად 5:0 მოუგო და სამი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა, ვინც 20 გოლით ლიდერობს ერედივიზიონის ბომბარდირთა ცხრილს. „როზენდაალამდე“ კი, 21-ე ტურში, „ალკმაარი“ სტუმრად „როდას“ ეთამაშა და შოთამ მაშინაც ჰეთ თრიქი მოინაგრა — სამ თამაშში ორჯერ მოახერხა სამი გოლის გატანა, მაგრამ ეს მისთვის უცხო სულაც არ ყოფილა...

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი

მისტერ ბინის ბომბარდირული ვნებანი

„ერთ-ერთ აიაქსურ სეზონში ზედიზედ სამ თამაშში გავიტანე სამი გოლი, ხოლო მეოთხე მატჩში დუბლი შევასრულე, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი“ — არველაძე რისი მისტერ ბინია, რომ არ იოხუნჯოს.

ის აიაქსური სეზონი კი 1997-98 წლებში იყო და არველაძე მაშინ 25 გოლით გახდა ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი, ხოლო ახლა რიგიანი შანსი აქვს, 1997-98 წლების სეზონის მიღწევა გააუმჯობესოს.

„ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატის დამთავრებას 11 ტური უკლია და 11 თამაშში ხუთი გოლის გატანა პატარა საქმე არაა. მოკლედ, ჯერ 25 გოლი უნდა გავიტანო, იმ შედეგის გაუმჯობესებაზე რომ ვიფიქრო“ — გვითხრა არველაძემ, ვისაც მიმდინარე სეზონში ჯერ პენალტი არ დაურტყია და 1997-98 წლების სეზონშიც უპენალტოდ გახდა ბომბარდირი.

„როცა 11-მეტრიანებს ვარტამდი, ვერც ერთ სეზონში ბომბარდირი ვერ გავხდი. თუმცა ცრუმორწმუნე არ ვარ და თუ პენალტის დარტყმის შანსი მომეცა, დავარტყამ“ — განგვიმარტა შოთამ, ვინც 11-მეტრიანებს არც 1995-96 წლების სეზონში ასრულებდა, როცა ის „ტრაბზონსფორში“ გამოდიოდა და მაშინაც 25 გოლით გახდა თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე.

„მაშინ ჰამი მანდორალი ასრულებდა 11-მეტრიანებს „ტრაბზონსფორში“ და ისე ზარბაზანივით ურტყამდა, ამ საქმეში ვერ შევეცილებოდი“ — იხსენებს არველაძე.

შოთა 22 თებერვალს 33 წლის გახდება და ასეთი კითხვა დავუსვით: ახლა უფრო ძნელია გოლების გატანა თუ მაშინ, როცა 25 წლის იყო და „აიაქსში“ ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა?

„ეს მაშინაა ადვილი, როცა გოლის გატანა და თამაში კარგად მიგდის. მოკლედ, ასაკს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, თორემ ხდება ხოლმე, კარის ხაზიდან ვერ გაგაქვს გოლი“ — გვიპასუხა ალკმაარელთა მეგოლემ.

წუხანდელ თამაშებამდე შოთას უახლოეს მდევრებს, აიაქსელ კლაას-იან ჰუნტელაარს და ფეიენოორდელ დირკ კუიტს, შესაბამისად, 18 და 16 გოლი ჰქონდათ გატანილი — ბომბარდირთა ცხრილში მართლაც სიმჭიდროვეა.

ერთმანეთთან ახლოს არიან ერედივიზიონის ლიდერებიც: პსვ, „ალკმაარი“ და „ფეიენოორდი“. ჩემპიონთა ლიგაში ჰოლანდიიდან ორი გუნდი გადის — ჩემპიონი და პლეი ოფში გამარჯვებული. პლეი ოფში ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ოთხი გუნდი მოხვდება — მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთეადგილოსნები, მეორეადგილოსანი მეხუთეს გაეჯიბრება, მეოთხე — მესამეს, წყვილებში გამარჯვებულები კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ.

არველაძემ გვითხრა, რომ ბოლო ტურებში მსჯელები საკამათო სიტუაციებში პსვ-ს მხარეს უსტვენენ, ხოლო „ალკმაარს“ რამდენიმე ნაღდი პენალტი არ დაუნიშნეს.

„არ ვწუწუნებ, პსვ მართლა კარგი გუნდია, მაგრამ არ უტევს, უფრო დაცვიდან თამაშობს, ხოლო ჩვენ მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 60 გოლი გავიტანეთ“ — ამ სიტყვების მთქმელი არველაძის „ალკმაარი“ მომდევნო ტურში ხვალ სტუმრად „სპარტას“ ეთამაშება.

დავით თავართქილაძე

ზურაბ ხიზანიშვილი: ბლექბერნთან კონტრაქტს დღე-დღეზე გავაფორმებ

24 წლის მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისური პრემიერლიგის „ბლექბერნში“ შარშან გადავიდა ერთწლიანი იჯარით „გლაზგო რეინჯერსიდან“, ახლა კი ბლექბერნელები მას შოტლანდიური კლუბისგან საბოლოოდ გამოისყიდიან...

— ბლექბერნელები უკვე ჩემს აგენტ ივან ბენეშსაც ელაპარაკნენ და „ბლექბერნთან“ დღე-დღეზე მოვაწერ კონტრაქტს ხელს. რახან ასეა საქმე, „ბლექბერნი“ ალბათ უკვე „რეინჯერსსაც“ მოურიგდება. „ბლექბერნთან“ პირობებზე უკვე შევთანხმდით და ახლა ბენეშის ჩამოსვლას ველოდებით, რათა მან ყველანაირი ფორმალობა მოაგვაროს. თუ ახლა ვერა, რამდენიმე დღეში ნაღდად გავაფორმებ კონტრაქტს. „ბლექბერნთან“ კონტრაქტი მინიმუმ სამი, მაქსიმუმ კი ოთხწლიანი იქნება — გვითხრა გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა.

ზურამ მალევე მოაწონა თავი „ბლექბერნის“ უელსელ მენეჯერ მარკ ჰიუზს და ინგლისელები ჩვენებურის „ჩაფრებისგან“ გამოსყიდვას ჯერ კიდევ შარშან ცდილობდნენ. მაშინ BBC წერდა, ეს გარიგება „ბლექბერნს“ დაახლოებით ნახევარი მილიონი გირვანქა დაუჯდებაო.

თუმც გარიგება მყის არ შედგა და ზურაც ყოყმანობდა — „რეინჯერსი“ ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსს იძლევა. გლაზგოელებთან კონტრაქტი ხიზანიშვილს 2008 წლამდე ჰქონდა, თუმცა ახლახან ზურამ ინტერვიუ მისცა „სანდი მეილს“, სადაც ამბობს, რომ „რეინჯერსში“ ის გააწბილეს, რამდენიმე თვე უთამაშებელი იყო და დღემდე არავის აუხსნია მისთვის, თუ რატომ მოექცნენ ასე.

დავით თავართქილაძე

ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ) „ბლექბერნს“ პირობებზე შეუთანხმდა

უოფაქცევაში ორიანი

უეფას ფეირ პლეის რეიტინგში საქართველო ნაბოლარაა

ქართველები ხომ ყველასგან გამორჩეულები ვართ, ჩვენნაირები ხომ დუნიაზე არ არსებობენ... ეს უეფაშიც კარგად იციან. აგერ, უეფას მიერ გამოქვეყნებული ფეირ პლეის რეიტინგში საქართველო ბოლო ადგილზეა — რეიტინგი შედგენილია 2005 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე დაჯამებული მონაცემებით, მხედველობაში მიიღება, სულ მცირე, 22 მატჩის ჩამტარებელი ნაკრებები. ამდენი მატჩი ხუთ ქვეყანას — ლიხტენშტაინს, ლუქსემბურგს, ანდორას, მალტასა და სან მარინოს არ მოუგროვდათ, ამიტომაც ისინი სათვალავში არ არიან, დანარჩენ 47 ქვეყანას შორის საქართველოს მყარად უკავია ბოლო ადგილი და ბოლოსწინა ბოსნიასაც კი საგრძნობლად ჩამორჩება.

ახლა რეიტინგის ძირითად პუნქტებზე ვთქვათ: აქ ითვლება ფეხბურთელთა „სუფთა“ თამაში, მეტოქისა და მსაჯების მიმართ პატივისცემა, ოფიციალური პირებისა და მაყურებელთა ქცევა.

ფეირ პლეის რეიტინგსიას ბელგია ლიდერობს, მას შვედეთი და ჰოლანდია მისდევენ.

და კიდევ, რეიტინგის სამი საუკეთესო ქვეყანა უეფას თასზე დამატებით ერთ გუნდს გაიყვანს.

ლუკა თალაკვაძე

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

LEVON TREVEL-ი გაძლევთ უნიკალურ შანსს, 22 თებერვლიდან 2 მარტამდე იმოგზაუროთ მალტაზე და დაესწროთ საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშებს.
საგზურის ღირებულება 950 დოლარიდან.
ღირებულებაში შედის მგზავრობა „LUFTHANSA“-ს თვითმფრინავით, ცხოვრება 3★ სასტუმროში, ვიზა და დახვედრა-გაცილება.
იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. საბუთები მიიღება მხოლოდ 10 თებერვლის ჩათვლით.

ტელ: 25-00-10, 25-00-60, 25-01-99
მობ: 899 537845
ჭავჭავაძის 20. „LEVON TREVEL“

გონსალო მარტინ დე პორასი

თორნიკე აფციაური თურქეთში გაფრინდა

მარადონას ქვეყნიდან ქართულ ხეობაში

თორნიკე აფციაური თურქეთშია

გონსალო მარტინ დე პორასი და დარიო სებალე — გუშინ ეს არგენტინელი ფეხბურთელები თბილისში ჩამოვიდნენ და „ბორჯომს“ შეუერთდნენ. გუნდის მოთამაშე-მწვრთნელმა იური გაბისკირიამ გვითხრა, სამხრეთამერიკელებმა 17 საათი თვითმფრინავში გაატარეს, ამიტომაც დღეს დაისვენებენ და ხვალიდან შეუდგებიან ვარჯიშსო. პირველი ბორჯომული თამაში დე პორასსა და სებალეს 11 თებერვალს „სოხუმთან“ მოუწევთ.

მარადონას თანამემამულეებზე უფრო ზუსტად ვთქვათ: გონსალო მარტინ დე პორასი 21 წლის თავდამსხმელია, მას „როსარიო სენტრალის“ მეორე გუნდში უთამაშია და იქ ყოფნისას 35 გოლი შეუგდია. დე პორასი 187 სანტიმეტრი სიმაღლისაა.

დარიო სებალე 25 წლის გამთამაშებელია. აქამდე არგენტინის ქვედადივიზიონელ „დეპორტივო ესპანიოლში“ უბურთავია.

მოკლედ, ვნახოთ, იური გაბისკირიამ არგენტინელებზე გვითხრა, კარგად დაგვიხასიათეს და დანარჩენი თამაშებში გამოჩნდება, მაგრამ უფრო დიდი შანსია, ორივენი დავიტოვოთო.

სხვა მხრივ, მოგეხსენებათ, „ბორჯომმა“ უკვე დაიმატა ლევან სანიკიძე, ედიკ საჯაია და ლაშა ჯანგიძე, ხოლო ყოფილი ამერელის გივი ჩხეტიანის საკითხი ჯერ გაურკვეველია, იგი გასინჯვაზეა.

და კიდევ ერთი სიახლე კურორტელებისგან: თორნიკე აფციაური თურქეთის ერთ-ერთ კლუბში წავიდა და ორ-სამი დღეში გადაწყდება, იქ დარჩება თუ ისევ „ბორჯომს“ დაუბრუნდება.

ილია ნანობაშვილი

ორი ჩათვლილი, ორიც ჩაუთვლელი

დინამო კორეელთა შემცვლელს ეძებს

თბილისის „დინამომ“ კვიპროსულ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა რუმინულ „პანდურიისთან“ გამართა. პირველ ნახევარში ანდრეი ჩერნიშოვმა ასეთი შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე: *ლორია, უ. ლობჟანიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიეირა, მაზარაძე, გ. მერებაშვილი, დვალი, ბობოხიძე.*

მიხეილ ბობოხიძემ და გიორგი მერებაშვილმა პირველივე ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. ისე, მერებაშვილმა კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი, თუმცა არბიტრმა გოლები არ ჩაუთვალა.

მეორე ნახევარში ჩერნიშოვმა თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა და ესენი ათამაშა: *ლორია, გ. კაშია, ორბელაძე, თომაშვილი, აკობია, ა. კალაძე, მაზარაძე, ჩრიკაშვილი, კვიტაიშვილი, ნავალოვსკი, იაშვილი.*

საქართველოს ჩემპიონები უპირატესობას მეორე ნახევარშიც ფლობდნენ, თუმცა მეტი გოლი აღარ გასულა — საბოლოოდ 2:0.

მომდევნო სპარინგი „დინამოს“ 11 თებერვალს აქვს დაგეგმილი ერთ-ერთ კორეულ გუნდთან, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა სხვა მეტოქის გამოძებნას ცდილობს — კორეელებს მეტისმეტად უხეში გუნდი ჰყავთ და შესაძლოა, ჩვენმა ფეხბურთელებმა ტრავმები მიიღონ. თან ანდრეი ჩერნიშოვმა რუმინელებთან მატჩში ტრავმის გამო ისედაც მოისაკლისა სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ლევან მელქაძე და ბრაზილიელი ამბროზიო.

გიორგი ნოზაძე

ჭიაგო გვეყოფა

ბათუმმა ბრაზილიელები დააშორა


ბაბრა დოლიძეგაბილის ფოტო

ოთარ გაბელია

მეორე წრეში „ბათუმს“ თითქმის მთლიანად გადასხვაფერებული შემადგენლობა ეყოლება. ზღვისპირელთა ტრანსფერებზე ყველამ იცით და იმასაც გეტყვით, რომ ოთარ გაბელიამ გუნდის დაკომპლექტება დაასრულა. მხოლოდ ბრაზილიელთა საკითხი იყო გასარკვევი და ისიც თითქმის გაირკვა.

გაბელიამ გვითხრა, ორიდან ერთს, ტიაგოს დავიტოვებთო. ტიაგომ ბათუმელთა ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში ორი გოლის გატანა მოასწრო, მის თანამემამულე და სილვას კი ბრაზილიაში დაბრუნება მოუწევს.

მომდევნო საკონტროლო მატჩებს ზღვისპირელები 11 თებერვალს ფოთის „კოლხეთთან“ და 13-ში „მერანთან“ გამართავენ.

ილია ნანობაშვილი

კაუნასის ქართველებს მთხოვნელები ჰყავთ

ნუკრი მანჩხავა

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკიდან

ლიტვურ „კაუნასში“ ჯერჯერობით სამი ქართველი ფეხბურთელია, თუმცა არაა გამორიცხული, ამათგან გუნდში ერთიღა დარჩეს. როგორც შევიტყვეთ, მარცხენა მცველ ნუკრი მანჩხავას გადაყვანა ბელარუსის ჩემპიონ სოლიგორსკის „შახტიორს“ სურს. ისე, სურვილი ერთია, მაგრამ საეჭვოა, „კაუნასი“ მანჩხავას შეელიოს...

სამაგიეროდ, თითქმის მომწიფებულია მეორე კაუნასელის, აკაკი ხუბუტიას საქმე. 19 წლის მცველი უკვე ლიტვურ „ვილნიუსში“ ვარჯიშობს და თუ დედაქალაქელები „კაუნასს“ შეუთანხმდნენ, ყველაფერი იოლად მოგვარდება.

„კაუნასელები, პრეზიდენტ ვლადიმირ რომანოვით დაწყებული, კარგად მექცეოდნენ, ოდნავი პრეტენზიაც არ მქონია გარდა იმისა, რომ ძირითადში იშვიათად მათამაშებდნენ. „ვილნიუსი“ კი ძირითადის გარანტიას მპირდება, თან ცუდი გუნდი არაა, ლეგიონერებიც ჰყავს და მათი შვიდი ლიტველი ფეხბურთელი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობს“ — გვითხრა გუშინ აკაკი ხუბუტიამ.

„კაუნასის“ მესამე ქართველმა გივი კვარაცხელიამ კი გლანდების ოპერაცია გაიკეთა და ამჟამად თბილისშია, თუმცა ლიტვის ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დროა და თამაშები არ გაუცდება.

ილია ნანობაშვილი

შეცვლილი მომრიგებელი

ბაბრა ბოლიძეგაბილის ფოტო

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მეორე ამხანაგურ მატჩს გამართავს აზერბაიჯანელ 21-წლამდელებთან. შეხვედრის დრო და ადგილი უცვლელია — 14 საათი, „ოლიმპის“ სტადიონი.

სამაგიეროდ, შეიცვალა მატჩის მსაჯის ვინაობა — სტუმარ-მასპინძელს გიორგი ვადაჭკორიას ნაცვლად ლევან კვარაცხელია მოარიგებს. მას ლევან მიქელაძე და ზაზა მენთეშაშვილი დაეხმარებიან.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების შეხვედრა ფრედ, 1:1 დამთავრდა.

ძახა შალამბერიძე

რასიზმი და საქართველო

ბაბრა ბოლიძეგაბილის ფოტო

გოგი ჭავთარაძე

რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში დასრულდა ფიფას კონფერენცია, რომელიც რასიზმთან ბრძოლას მიეძღვნა და მასში საქართველოდან ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძეც მონაწილეობდა. მართალია, ქართულ ფეხბურთში ჯერჯერობით რასიზმის პრობლემა არ დგას, თუმცა კატალონიის დედაქალაქში დიდი ყურადღება გამახვილდა რასიზმის წინააღმდეგ კოორდინირებულ ბრძოლაზე.

კონფერენციაზე მოხსენებით ფიფას გენერალური მდივანი ლარს-კრისტერ ოლსონი და „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა გამოვიდნენ. ღონისძიების მსვლელობის პარალელურად მიმდინარეობდა შეხვედრები სხვა, მათ შორის ჩვენი თანაჯგუფელი ქვეყნების წარმომადგენლებთან. გოგი ქავთარაძის თქმით, ბარსელონური თავყრილობის მიზანი ჩვენთვის შესაძლოა ნაკლებად აქტუალური იყო, მაგრამ იქაური შეხვედრები მომავალში აუცილებლად დადებითად აისახება ქართულ ფეხბურთზე.

გიორგი ნოზაძე

მეკარე, ჩქარა!

ძვირ პროექტს ხინჯი არ ეკადრება

გიორგი ლომაია | ზვიად სტურუა | ნუკრი რევიშვილი | სოსო გრიშიკაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა კლაუს ტოპმიოლერს ჩვენი უპირველესი გუნდისთვის უცხოელი მეკარის ნატურალიზაციის შესახებ ჩამოუგდო სიტყვა და გერმანელმა ჯერ თავი შეიკავა, დრო ითხოვა.

არადა, ტოპმიოლერის და მისი სამწვრთნელო შტაბის დაქირავება საკმაოდ ძვირი პროექტია და სადაც ამდენი ფული იხარჯება, იქ უცხოელი მეკარის დაქირავება და მისთვის ორმაგი მოქალაქეობის მიცემა ძნელი არ უნდა იყოს...

მაგრამ ჯერ სიტყვა ტოპმიოლერმა უნდა თქვას, რაც ალბათ მას მერე მოხდება, როცა ის ჩვენს მეკარეებს საფუძვლიანად შეისწავლის. ხოლო ის, რომ გუნდის შენება მეკარიდან და დაცვიდან იწყება, ყველა დიდი მწვრთნელის კონცეფციაში შედის და ამაზე არც კამათობენ.

ვფიქრობთ, ამ დროისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ყველაზე მეტი შანსი ოთხ მეკარეს აქვს — გიორგი ლომაიას, სოსო გრიშიკაშვილს, ნუკრი რევიშვილს და ზვიად სტურუას.

ლომაიას ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ჩაუტარებია მოქმედი ქართველი მეკარეებიდან და ტოპმიოლერის ინტერესს უთუოდ დაიმსახურებს, მაგრამ არ გვახსენდება თამაში, როცა ლომაიამ ურთულესი ბურთები აიღო და გუნდი გადაარჩინა. რა თქმა უნდა, ლომაიამ რამდენჯერმე იმარჯვა ნაკრებში, მაგრამ, რომ იტყვიან, ფურორი არასდროს მოუხდენია. ისიცაა, რომ ლომაია რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკიში“ ხშირად არ თამაშობს და სათამაშო პრაქტიკა აკლია.

მაგრამ ლომაიას აქვს საიმისო პერსპექტივა, რომ მალე „ხიმკიში“ ან სხვა რომელიმე კლუბში მთავარი მეკარე გახდეს, უკეთესად ათამაშდეს და...

წინა შესარჩევ ციკლში ალენ ჟირესმა ლომაიას გარდა ზვიად სტურუასაც ანდო საქართველოს ნაკრების კარის დაცვა, მაგრამ სტურუა მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის, წინა სეზონში კი ალბათ საუკეთესო მეკარე იყო საქართველოს ჩემპიონატში.

სტურუას ნამდვილად აქვს იმის უნარი და შანსი, რომ „დინამოს“ პირველი მეკარე გახდეს და მერეღა სცადოს თავის მოწონება ნაკრების მწვრთნელისთვის. ერთი სიტყვით, სტურუას ნაკრებამდე არც თუ მოკლე გზა აქვს გასავლელი და მას ან გაივლის, ან არა...

გრიშიკაშვილი საქართველოს ეროვნული ნაკრების კარს ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩებში დარაჯობდა, მაგრამ მას მაშინ არ ჰქონია უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა კლუბში. გრიშიკაშვილს რამდენიმე უცხოურ გუნდში უთამაშია, მაგრამ თუ მას დავუთვლით თამაშებს „ალანიაში“, „ვენტსპილსში“ და „დაუგავაში“, ოდენ 35-მდე ავალთ.

18 წლის რევიშვილი ბოლო ოთხ თამაშში იდგა ნაკრების კარში. რევიშვილმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა თავის მეორე შეხვედრაში, საბერძნეთთან — ათენში რამდენჯერმე შეარჩია სწორი პოზიცია და ერთი-ორი რთული ბურთიც მოიგერია. იგი კარგი მონაცემების მეკარეა, რასაც ისიც მოწმობს, რომ რუსეთის პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გასულმა „ყაზანმა“ სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

მაგრამ გვახსოვს რევიშვილი ამხანაგურ მატჩებშიც — ბულგარეთთან (2:6) და იორდანიასთან (3:2), სადაც გამოჩნდა კიდეც, თუ რა შედეგი მოაქვს ეროვნულ ნაკრებში 18 წლის მეკარეზე დაყრდნობას — გამოუცდელმა რევიშვილმა ბულგარეთისგან და იორდანიისგან 8 ბურთის გარდა არანაკლები რაოდენობის ფსიქოლოგიური დარტყმაც მიიღო.

რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა მეკარე საქართველოს ჩემპიონატშიც თამაშობს. ისიცაა, რომ კარგ მწვრთნელს იმის და ისეთის დანახვა შეუძლია, რაც სხვას არ ძალუძს, მაგრამ ფაქტია, იმ რანგის მეკარე, რაც ძვირიან პროექტს და მაღალ მიზნებს შეესაბამება, ამ დროისთვის ქართველებს არ გვყავს.

წლიური 1 600 000 დოლარი ტოპმიოლერისთვის და მისი თანაშემწეებისთვის, ეროვნული და „მიხეილ მესხის“ სტადიონების რეკონსტრუქცია, ახალი ბაზის მშენებლობა... ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოს დახმარებით და თავისი შემოსავლებით დიდი ფულის დახარჯვას აპირებს, მაგრამ გუნდის მშენებლობა თუ მეკარით იწყება, დრო არ ითმენს...

დავით თავართქილაძე

გიორგი ლომაია
08.08.1979

1997-98	დინამო
1998-99	მერანი 91
1999-00	დინამო ლოკომოტივი
2000-01	ლოკომოტივი
2001-02	ლოკომოტივი
2002-03	ლოკომოტივი
2003	ლოკომოტივი სპარტაკი (რუსეთი)
2004	სპარტაკი (რუსეთი) ხიმკი (რუსეთი)
2005	ხიმკი (რუსეთი)
2006	ხიმკი (რუსეთი)

ეროვნულ ნაკრებში 20 მატჩი

ნუკრი რევიშვილი
02.03.1987

2003-04	ტორპედო 2
2004-05	ტორპედო
2006	რუბინი (რუსეთი)

ეროვნულ ნაკრებში 4 მატჩი

ზვიად სტურუა
25.04.1978

1996-97	სამტრედია
1997-98	სამტრედია
1998	სამგურალი
1999	ტორპედო
1999-00	ტორპედო
2000-01	თსუ
2001-02	ტორპედო
2002-03	ტორპედო
2003-04	ტორპედო
2004	ტორპედო
2005	ლოკომოტივი
2005-06	დინამო

ეროვნულ ნაკრებში 2 მატჩი

სოსო გრიშიკაშვილი
25.12.1973

1992-93	კახეთი
1993-94	კახეთი, მეტალურგი
1994	მეტალურგი
1995	ალანია (რუსეთი)
1996	ალანია (რუსეთი)
1997	ვენტსპილსი (ლატვია)
1998	ვენტსპილსი (ლატვია)
1999	დაუგავა (ლატვია) ალანია (რუსეთი)
2000	დინამო
2000-01	დინამო
2001-02	დინამო
2002-03	კოლხეთი
2003-04	ლოკომოტივი თბილისი
2004-05	ბათუმი
2005-06	დინამო

ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

მოგვაწოდეთ კითხვები და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

არის თუ არაეს რეალი?!

ფლორენტინო პერესმა გაღიმებულ ბერნაბეუს კარი გამოუღერა

ფლორენტინო პერესის „რეალი“ საამსეზონო მძიმე კრიზისს ნელ-ნელა თავს აღწევს — პრიმერადივიზიონში ზედიზედ 4 მატჩი მოიგო და გულშემატკივარებმაც, ბოლოს და ბოლოს, შვებით ამოისუნთქეს. რონალდოც, რომელსაც მუნდიალის მერე „რეალიდან“ გადაბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ, არსად წასვლას არ აპირებს — „რეალის“ პრეზიდენტმა „ასთან“ ინტერვიუში ამაყად განაცხადა, რონი კარიერის ბოლომდე ჩვენთან დარჩება, „რეალის“ საქმეები ახლა კარგად მიდის და „სანტიაგო ბერნაბეუსაც“ დაკარგული ღიმილი დავუბრუნეთო

— ახლახან რონალდოს ესაუბრეთ. მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ ბრაზილიელი „რეალს“ მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დატოვებდა. საბოლოოდ რაზე შეთანხმდით?

— რონალდო დარწმუნებულია, რომ ფეხბურთის თამაშს „რეალში“ დაასრულებს. მართლაც გულახდილად ვისაუბრეთ. მას „ბერნაბეუზე“ დარჩენა სურს.

— ლოპეს კარო „რეალის“ დროებითი დამრიგებელია?

— არა, უკვე გადავწყვიტეთ, რომ იგი გუნდს მომავალშიც გაწვრთნის. თან, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი შედეგებიც გავითვალისწინეთ.

— ემილიო ბუტრაგენიომ, გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ ლოპეს კარო „რეალს“ მცირე ხნით გაუძღვება...

— ეს თავდაპირველი გადაწყვეტილება იყო, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ აზრი შეგვეცვალა. ლოპეს კარომ „რეალის“ მეორე გუნდში შესანიშნავად იმუშავა და მისთვის განსაკუთრებულ სირთულეს არც პირველ გუნდში საქმიანობა წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, იგი წარმატებებს მოგვიტანს, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე სერიზული შეცდომა არ დაუშვა, ან ჩვენ, უფროსობამ, არ შევუშალეთ ხელი... იგი ნამდვილი პროფესიონალია.

— სპორტულმა დირექტორმა ბენიტო ფლორომაც თქვა დღევანდელ მწვრთნელთან თანამშრომლობას მომავალ სეზონშიც გავაგრძელებთო...

— ჩვენი საერთო სურვილია, ლოპეს კარო დიდხანს დარჩეს „რეალში“. თუმცა, როგორც გითხარით, არ უნდა დავაბნიოთ, თავად კი ფეხბურთელებთან ურთიერთობის ჩვეულ სტილს, დემოკრატიულობას, დისციპლინას და შრომისმოყვარეობას არ უნდა უღალატოს. მწვრთნელს მთავარი ყურადღება მოთამაშეთა პროფესიონალიზმზე გადაატანს, რაც ყოველდღიურ ვარჯიშებზეც მშვენივრად აისახება. იცით, რა არის დღევანდელი „რეალის“ წარმატების საიდუმლო? ის, რომ გუნდის სათავეში დგას მწვრთნელი, რომელიც გადაწყვეტილებებს წმინდა პროფესიული თვალსაზრისით იღებს და შემადგენლობის შერჩევასა თუ ფიზმომზადებაში ვერავინ ჩაერევა. ამ გზით თუ ვივლით, ჯილდოებს აუცილებლად მოვიგებთ და გუნდში სხვა მწვრთნელის მოყვანაზეც არავინ იფიქრებს...

— „რეალმა“ ბოლო ორწელიწადნახევარში ხუთი დამრიგებელი გამოიცვალა და პრაქტიკულად არანაირი ჯილდო არ მოუგია. ვისენტე დელ ბოსკესთან კი პირველი სამი წლის განმავლობაში ექვსი ტიტული მოიგეთ...

— მსოფლიო ფეხბურთში ერთ გუნდში ამდენი ტალანტის თავმოყრის პრეცედენტი არ ყოფილა. ვარსკვლავების მართვა ნებისმიერი მწვრთნელისთვის რთული საქმეა. ზოგიერთმა სპეციალისტმა წნეხს ვერ გაუძლო და დაიქანცა. „რეალში“ მწვრთნელობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

— ლუშემბურგოზე და არიგო საკიზე 2005 წლისთვის დიდ იმედებს ამყარებდათ. 13 თვის მერე ამ იმედიდან აღარაფერი დარჩა...

— ყველა იმ პროფესიონალს, ვისაც ჩვენთან უმუშავია, ძალიან ვაფასებ. საკიმ და ლუშემბურგომ საქმეში სული და გული ჩადეს და რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს... თუმცა ამდენი გალაქტიკოსის მართვისთვის მარტო წარსულის დამსახურებები არ კმარა, უფრო მშვიდად და ბუნებრივად მუშაობაა საჭირო. ლოპეს კაროს, მიუხედავად იმისა, რომ ჯილდოებით დახუნძლული წარსული არა აქვს, ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა ბევრზე უკეთესად შეუძლია.

— ვანდერლეი ლუშემბურგომ „რეალიდან“ წასვლის მერე თქვა, რომ ევროპულ გუნდებში პიროვნებებზე მეტად საფეხბურთო პროექტებს აფასებენ. საკიმ კი დაიჩივლა, ჩემი სამუშაოთი ყველას ვერ ვასიამოვნე და უფროსობაც იმიტომ გამინაწყენდაო. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— არასოდეს ვაკრიტიკებ მათ, ვინც რაღაც ფორმით „რეალთან“ ოდესმე მაინც იყო დაკავშირებული. თუ გნებავთ, ამის დასამტკიცებლად სამეფო გუნდიდან წასულებს შეეკითხეთ... გარდა ამისა, მე მომავალი მაინტერესებს და არა წარსული. ყველა გადაწყვეტილება, რაც მივიღეთ, კლუბის სასიკეთო გახლდათ და გულწრფელად ვთვლი, რომ შეცდომები არ გვქონია.

— „რეალში“ ტრანსფერების საქმეს ვინ განაგებს?

— ყველას აზრს ვითვალისწინებთ, როგორც ნებისმიერ ბიზნესში ხდება ხოლმე. მწვრთნელები, სპორტული დირექტორი, ვიცე-პრეზიდენტი სავარაუდო ტრანსფერებზე თავის შეხედულებებს გამოთქვამენ და გადაწყვეტილებებს ერთად ვიღებთ. ამბობენ, რომ ტრანსფერები „რეალში“ ოდენ ჩემი უშუალო მითითებით კეთდება. ერთადერთი, რასაც მოვითხოვ, კლუბის სტრატეგიული ხაზის პატივისცემაა, სტრატეგია კი, თავადაც იცით, „რეალში“ ფიგუს, ზიდანის, რონალდოს ან ბექემის დარი მოთამაშეების მოყვანაა. პრეზიდენტი ფეხბურთელებს სხვებთან თათბირის შემდეგ ყიდულობს.

— თუმც საკის კასანოს გუნდში მოყვანა არ სურდა, თქვენ კი ეს ტრანსფერი მაინც განახორციელეთ...

— ასე ნუ იტყვით. კასანოს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით. მე პირადად მას და სენსის ოჯახს („რომას“ მფლობელები) რამდენჯერმე ვესაუბრე. როცა კასანოს მსგავსი ნიჭიერი მოთამაშის ყიდვის შანსი მოგვეცა, უკან აღარ დავიხიეთ.

— კლოდ მაკელელეს „ჩელსიში“ გაშვებას ხომ არ ნანობთ?

— მაკელელე შესანიშნავი პიროვნებაა, თუმცა მისი აგენტის არაკომპეტენტურობის გამო, სამწუხაროდ, ურთიერთობა შევწყვიტეთ. თან „ჩელსიმ“ მაშინ მას უზარმაზარი თანხა შესთავაზა, რომლის გადახდას ჩვენ ნამდვილად ვერ შევძლებდით.

— და სამუელ ეტოოს, ყოფილ მადრიდელს, ახლა „ბარსელონას“ შემადგენლობაში გოლი გოლზე გააქვს...

— ამაზე ლაპარაკი უკვე მომაბეზრებელი ხდება. 2000 წელს ეტოო იჯარით „მალიორკაში“ გავაგზავნეთ. 2001 წლის ზაფხულში ჯერ ხორხე ვალდანომ, ხოლო შემდეგ მე ეტოოს ვუთხარით, რომ მისი მადრიდში დაბრუნება გვინდოდა. გაჯიუტდა და გარკვეულ მიზეზთა გამო, რაზეც უკეთესი იქნება, მას შეეკითხოთ, „რეალში“ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. რა გაეწყობოდა, მისი ადგილი მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელს, რონალდოს ჩავაბარეთ.

— როცა რონალდომ ტრავმა მიიღო, მაიკლ ოუენის ინგლისში გაშვებამ არ შეგაფიქრიანათ? ოუენის „ნიუკასლში“ გადასვლამ სერხიო რამოსის „რეალში“ მოყვანის ხარჯები დაფარა?

— აქ ფულის პრობლემა არ ყოფილა. უბრალოდ, ლუშემბურგოს რობინიოს მოყვანა უნდოდა და ოუენისთანა მობურთალს სათადარიგოებში ხომ არ დავსვამდით.

— ზიდანის შესახებ ვისაუბროთ...

— ზიდანის მსგავსი ფეხბურთელები ჩვენს მთავარ იარაღს წარმოადგენენ. ძალიან ცუდია, რომ ადრე თუ გვიან ზიზუს „რეალიდან“ წასვლა მოუწევს. წლები გაივლის, სანამ ახალი ზიდანი გამოჩნდება. დი სტეფანოს, პელეს და მარადონას შემდეგ საუკეთესოა. ჩემი ოცნებაა, მისი ფეხბურთიდან წასვლის ამბავი რაც შეიძლება, გადაიდოს. ზიდანი პროფესიონალია და წასვლა-დარჩენის გადაწყვეტილებაც მასზეა დამოკიდებული. ყველაფერს შევეცდები, რათა „რეალში“ დარჩეს.

— ამბობთ, წლეულს პრიმერადივიზიონის ჩემპიონები გავხდებითო. ეს საკუთარი თავის დასამშვიდებლად თქვით, თუ „რეალის“ წარმატების მართლა გჯერათ?

— სიტყვა „შეუძლებელი“ მადრიდის „რეალის“ ისტორიაში არ არსებობს. თუ ყველა დარჩენილ თამაშს მოვიგებთ, საბოლოოდ 90 ქულა გვექნება. შანსები არსებობს და უბრძოლველად ხომ არ დავთმობთ?!

— „რეალში“ ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ფაბიო კაპელოს შესაძლო გადმოსვლაზე რას გვეტყვით?

— უმჯობესი იქნება, ამაზე არ ვისაუბროთ, ჯერ მხოლოდ თებერვალია, სატრანსფერო საქმეები კი გაცილებით გვიან გვარდება. ჩემს თანაშემწეებს მედიასთან „რეალის“ მომავალ ტრანსფერებზე საუბარი აკრძალული აქვთ.

უჟმურ მიდოს ექვსი თვე აანანს

აჰმედ ჰოსამ მიდო ეროვნულ ნაკრებს ექვსი თვით დაემშვიდობა. მესაბამისად, იგი კოტ დივუართან აფრიკის თასის ფინალსაც გამოტოვებს. ასეთი მკაცრი განაჩენი 22 წლის ფეხბურთელს ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სამირ ზაჰერმა გამოუტანა. თუ რატომ, ალბათ, გაიხსნებთ. მიდომ ხომ ეროვნული ნაკრების თავკაც ჰასან შეჰატაზე გაიწია. ლონდონის „ტოტენჰემის“ ფორვარდი სენეგალთან ნახევარფინალურ მატჩში ძალიან მოწადინებული კი იყო, მაგრამ თამაში არ წაუვიდა. მიუხედავად ამისა, 79-ე წუთზე მინდვრიდან გასვლა იუკადრისა და შეჰატას ხან უყვირა, ხანაც ჟესტებით ანიშნა, მოედნიდან არ გამოვალო. ეგვიპტელთა თავკაცმა, მიდოს პროტესტს ყური არ ათხოვა და საბოლოოდ ფეხბურთელი თანაგუნდელებმა მოედნიდან ძალით გაიყვანეს. ჩხუბი აუტის ხაზთან გაგრძელდა და რომ არა 39 წლის ვეტერანი ჰოსამ ჰასანი, რომელიც შუაში ჩადგა, ვინძლო მუშტი-კრივიც ამტყდარიყო.

მიდოს ნაცვლად მინდორზე შესულმა ამირ ზაკიმ კი ერთ წუთში გამარჯვების გოლი შეაგდო და 74 ათასი ქომაგის თვალწინ ისედაც შერცხვენილი თავდამსხმელი მთლად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას თანაგუნდელებმა ხელიც კი ჰკრეს და აიძულეს, ზაკისთვის მიელოცა, მწვრთნელთან კი მიდო ცოცხალი თავით არ მივიდა. დარჩენილ დროში იგი დამშვიდებული ჩანდა და თავის ნაკრებს მხურვალედაც გულშემატკივრობდა, მაგრამ მკაცრი სასჯელი მაინც არ ასცდა.

შეგახსენებთ, რომ გაუწონასწორებელი ხასიათის მქონე მიდო მწვრთნელთან კონფლიქტის გამო ნაკრებიდან შარშანაც მოკვეთეს, მაგრამ რამდენჯერმე მობოდიშების შემდეგ ისევ დააბრუნეს.

გიორგი კაკაბაძე

კანტო რუნის აფრთხილებს

ერიკ კანტონამ კვლავ გამოთქვა აზრები „მანჩესტერ იუნაიტედის“ შესახებ. ამჯერად მან განაცხადა, რომ უეინ რუნის კარიერა ეგებ ხუთ წელიწადში დასრულდეს. „მე მომწონს რუნი, მაგრამ ვშიშობ. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ის 25-26 წლისა შეიქნება. არ ვიცი, იცის თუ არა, მაგრამ ამას ღონე, ბევრი ვარჯიში და დროზე დაწოლა სჭირდება. საჭმელ-სასმელი კი გაზომილი უნდა იყოს“ — უთხრა კანტონამ „გარდიანს“ — ყველა დიდ ფეხბურთელს გავლილი აქვს ეს ამბავი. თუ განახორციელებს, რუნი მსოფლიოს სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის იქნება. თუმცა ვშიშობ, რომ 5-6 წლის შემდეგ ის 100 საუკეთესოშიც არ იქნება. საერთოდ არ იქნება ფეხბურთში. ამ ბიჭს ალექს ფერგიუსონი ქმნის, ის ძალიან ეხმარება. მაგრამ ვინმემ, ფეხბურთელმა უნდა აუხსნას ეს. ბოლოჯერ რომ ვნახე, მინდოდა, ეს ყველაფერი მეთქვა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთი გვქონდა“.





რუნი იქით იყოს და, „მანჩესტერში“ ახალი სკანდალი მწიფდება: გლეიზერთა ოჯახს გადაუწყვეტია, რომ „ოლდ ტრეფორდს“ რომელიმე ახალი სპონსორის სახელი დაარქვას. ეს ჯერ სახალხოდ არ თქმულა, მაგრამ გეგმად კი ყოფილა.

ფეხბურთელები კი თურმე ისედაც გაბრაზებულნი არიან გლეიზერებზე, რადგან ზედ ლიგის თასის ფინალის წინ „მანჩესტერს“ ყატარში ჩაფრენა და იქ შოუ-თამაშში მონაწილეობა მოუწევს.

ირაკლი გამყრელიძე

კუდიჩინი თვითმფრინავს ელის, მაურინიუ — აპრილს

მაურინიუმ პრემიერლიგა უკვე დაამთავრა

კუდიჩინი კი სხვაგან დაფრინავს

ჟოზე მაურინიუმ სახალხოდ გამოაცხადა, რომ 9 აპრილს „ჩელსი“ ოფიციალურად გახდება პრემიერლიგის ჩემპიონი.

„ჩელსი“ 15 ქულით უსწრებს „მანჩესტერს“, 21-ით კი „ლივერპულს“ და მაურინიუმ ასე გამოთვალა, რომ რვა გამარჯვება საკმარისი იქნება, რომ ტიტული გაფორმდეს.

9 აპრილს „ჩელსი“ „ვესტ ჰემს“ ეთამაშება.

ეს ზედიზედ მეორე ტიტული იქნება წინა სეზონში მაურინიუმ თქვა, რომ ჩემპიონობას 30 აპრილს ბოლტონში თამაშის შემდეგ მოიპოვებდა და ასეც მოხდა.

9 აპრილამდე კი „ჩელსი“ ხვდება „ბოროს“, „პორტსმუთს“, „ვესტ ჰემს“, „ტოტენჰემს“, „ფულემს“, „სიტის“ და „ბირმინგემს“.

რომან აბრამოვიჩს კი უხარია ეს წარმატებები, მაგრამ უთქვამს, ასე „სტემფორდ ბრიჯი“ მთელ თავის ემოციას დაკარგავს და რამე უნდა ვიღონოთო.

ემოცია, მგონი, უკვე დაკარგა „ჩელსის“ სათადარიგო მეკარემ კარლო კუდიჩინიმ, რომელიც სათასო თამაშებზე თუ გამოჩნდება ხოლმე. 32 წლის მეკარეს ბევრი უფიქრია და ძელებს შორის ფრენისთვის ცაში ფრენა უმჯობინებია. ამიტომ ის პილოტობას სწავლობს და საავიაციო ლიცენზიას უმიზნებს. სანამ გამოცდაზე დამიშვებენ, 44 საათი ჰაერში უნდა გავატაროო, ამბობს და მეცადინეობს.

ირაკლი გამყრელიძე

იყიდება

1998 წელს გამოშვებული VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI ძრავით,

ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68



ჯიმის ენა ჯიმიზე წინ მირბის



„მიდლსბროს“ თავდამსხმელ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს ეგებ სასამართლოში სირბილმაც მოუწიოს. საქმე ისაა, რომ ჯიმიმ ეგრეც ვერ წარმოადგინა იმის მტკიცებულება, რაც თავის წიგნში დაწერა: 2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლისთვის „ჩელსის“ ფეხბურთელებს შავი პრემიები დაგვირიგესო.

ჯიმიმ ეს ამბავი ინტერვიუებშიც გაიმეორა, თუმცა არც რაიმე საბუთი წარმოუდგენია და არც თავისი საბანკო ანგარიშები წარუდგენია რაიმეს დასამტკიცებლად. „ჩელსიმ“ თავიდანვე უარყო ეს ბრალდებები, თუმცა ფეხბურთის ასოციაციამ ამ საქმეს არ წაუყრუა და მთელი ამბით აგრძელებს გამოძიებას, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ ჯიმის შესაძლოა ცილისწამებისთვის უჩივლონ.

ჯიმის წიგნში წერია: „სეზონის დასაწყისში აბრამოვიჩი 50-50 ათას გირვანქას დაგვპირდა, თუკი ნახევარფინალში გავიდოდით. სეზონის ბოლოს კი ჩვენს ანგარიშზე 100-100 ათასი იყო“.

„ჩელსიმ“ განმარტა, რომ მეორე 50 ათასი მომავალი წლის ანგარიშში გადაურიცხა ფეხბურთელებს, რაც წესებით შესაძლებელია.

მოკლედ, დახლართული საქმეა.

ირაკლი გამყრელიძე

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური „ვალენსიას“ ფორვარდი პატრიკ კლუივერტი მომავალ კვირაში მენისკის ოპერაციას გაიკეთებს. ექიმები დაზუსტებით ამის მერე იტყვიან, რამდენი ხანი გაუცდება ჰოლანდიელს. ამასობაში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „მესტალიას“ ბინადრები 6 ათასი ევროთი დააჯარიმა. ეს სასჯელი „ვალენსიამ“ კოპა დელ რეის ნახევარფინალში „დეპორტივოსთან“ ჩაშლილი მატჩის გამო დაიმსახურა. შეგახსენებთ, რომ „ღამურების“ ქომაგებმა გვერდით მსაჯს მონეტა მოარტყეს.

ფრანგული „ლიონი“ ტრავმებმა გააწამა. ჟერარ ულიეს ამჯერად სილვიენ მონსორო დაუშავდა და ახლა მის განკარგულებაში მხოლოდ სამი ნომინალური მცველია. „ეს ნამდვილი კოშმარია. ყველაფერი ერთად მოხდა. ახლა ვნანობ, რომ იანვარში მცველი არ შევიძინე“ — განაცხადა ულიემ.

ჰოლანდიური „ფეიენოორდის“ ახალგაზრდა ვარსკვლავმა რომეო კასტელენმა გუნდთან კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. „დენ ჰაგის“ ყოფილ ფეხბურთელს მრავალი კლუბი უტრიალებს, მაგრამ როტერდამელებს მისი შენარჩუნება გადაუწყვეტიათ. აღსანიშნავია, რომ კასტელენს ტრავმის გამო მიმდინარე სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა.

იტალიური „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ „მარსელის“ ერთ-ერთ ლიდერ ტაი ტაივუსთვის დაუდგამთ თვალი. აპენინური გრანდები განსაკუთრებით აფრიკის თასზე ნიგერიელის თამაშმა მოხიბლა. ამბობენ, უფრო მეტ ინტერესს მილანური კლუბი იჩენს და მზადაა, 6 მილიონი გადაიხადოს. ტაივუს „მარსელთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

ესპანური „ბარსელონას“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ლიონელ მესი მადრიდის „ატლეტიკოსთან“ მიღებული ტრავმის გამო 10 დღე დაისვენებს. 18 წლის არგენტინელი მომავალ უქმეებზე „ვალენსიასთან“ პრინციპულ მატჩს გამოტოვებს. მოგეხსენებათ, „ბარსას“ დისკვალიფიცირებული რონალდინიოც არ ეყოლება. სამაგიეროდ, მწყობრშია აფრიკის თასიდან დაბრუნებული სამუელ ეტოო.

ფრანგულ „მონაკოს“ „უეფას თასის განაცხადში ან მარკო დი ვაიო უნდა შეეყვანა ან კრისტიან ვიერი და არჩევანი უკანასკნელზე შეჩერდა. „ამ სეზონში სხვა გუნდის სახელით ნათამაშები მხოლოდ ერთი ფეხბურთელის შეყვანა შეგვეძლო განაცხადში. ხელმძღვანელობამ უპირატესობა უფრო გამოცდილ კრისტიან ვიერის მიანიჭა“ — თქვა „მონაკოს“ ვიცე-პრეზიდენტმა ჟერარ ბრიანტიმ.

გერმანია

ბუნდესლიგა. XX ტური

ჰერტა 0:0 ბაიერნი

ჰერტა: ტრემელი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, ფატი, ჩაპედი, ნ. კოვაჩი, კაირო (ტ. მარქსი 73), ბაშთურქი, ბოატენგი, მარსელინიო, სვერკოში (პანტელიჩი 67)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ლუსიო, ისმაელი, ლამი, დემიკელისი, დაისლერი (ქარიმი 59), შვაინსტაიგერი (ოტლი 84), მაკაი (პ. გერერო 66), კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ბოატენგი, ბალაკი
მსაჯი: ფანდელი
72 940 მაყურებელი

დორტმუნდი 2:0 დუისბურგი

1:0 ბრუნსკა (67), **2:0** როსიცკი (87პ)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, პ. დეგენი, ბრუნსკა, ვიორნსი, დედე, კული, როსიცკი, საპინი (კრუშკა 78), ოდონკორი (ბაკლი 78), შმოლარეკი, გამბინო (კ. მეცელდერი 89)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
დუისბურგი: გ. კოხი, ბელუმი (ვილი 77), მიორლე, ბილიშკოვი, ა. მეიერი, ტიკუზუ, კალიჯიური (აიგიუნი 83), ტარარახე, ლოტნერი, კურტი, ლავრიჩი (ვან ჰუდტი 69)
მწვრთნელი: იურგენ კოლერი
გაფრთხილება: მეიერი, კალიჯიური
გაძევება: ვილი (87)
მსაჯი: შიპელი
65 000 მაყურებელი

კაიზერსლაუტერნი 2:2 კიოლნი

0:1 შტრელერი (37), **1:1** სანოგო (42პ), **1:2** შტრელერი (75), **2:2** შოინჰაიმი (76)
კაიზერსლაუტერნი: მახო, ჰოილანდი, ბედა, შოინჰაიმი, ენგელარდტი, შკულა (ზანდი 79), ლემბი, რაინერტი (მიკიჩი 69), ბელინგჰაუზენი (ჰალფარი 58), ჰალილ ალტინტოპი, სანოგო
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
კიოლნი: ვესელსი, სინკევიჩი, ჟივკოვიჩი, ალფაი, შერეი (ლელი 90), შპრინგერი, კაბანასი, გრამოცისი (ბენშაიდერი 82), ა. სტრაიტი (საბიჩი 85), პოდოლსკი, შტრელერი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
გაფრთხილება: ბედა, ზანდი, ალფაი, გრამოცისი, სინკევიჩი
მსაჯი: ვაკი
39 145 მაყურებელი

მაინცი 1:1 არმინია

1:0 ზიდანი (50პ), **1:1** ბოაკიე (57)
მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, პეკოვიჩი, ბაბაცი (გაისლერი 66), და სილვა, ტიურკი, მ. ზიდანი (ნ. ვაილანდი 77), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, შულერი, ფინკი, კაუფი, კიუცელი, დ. კობილიკი (ვიშნიარეკი 67), მასმანიდისი, ბოაკიე (პინტო 88)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: პეკოვიჩი, დემირტასი, ვაილანდი, ბორგესი
მსაჯი: გაგელმანი
19 500 მაყურებელი

ოლი ოლია

ბაიერნი გზაზე გაიჭედა

ოლივერ კანს და ალი ქარიმს ბერლინში დააგვიანდათ

2005 წლის 13 თებერვლიდან დღემდე მიუნხენის „ბაიერნმა“ 52 მატჩი ითამაშა და მხოლოდ ექვსში ვერ შეძლო გატანა. ამ ექვსეულში აღმოჩნდა „ჰერტაც“, რომელიც ბუნდისლიგის ჩემპიონს ბერლინში უგოლოდ დაუზავდა, ქულა დაატოვებინა, ჩემპიონატს კი ინტრიგა შემატა.

„ბაიერნი“ გზაზე შექმნილი პრობლემის გამო მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა სტადიონზე და ეგებ ამანაც გამოიწვია გუნდის სუსტი თამაში. „ბიჭებს კონცენტრაცია აკლდათ — თქვა ფელიქს მაგათმა — დავალება ვერ შეასრულეს“.

პირველ ტაიმში სტუმრები სჯობდნენ მასპინძლებს. დემიკელისმა, ბალაკმა და დაისლერმა თითოჯერ მოახერხეს კარში დარტყმა, ბერლინელთა მეკარე მეტად არ შეუწუხებიათ, „ჰერტა“ კი კინაღამ ვალერიან ისმაელმა დაიწინაურა, როცა საკუთარ კარში ბურთის ჩაჭრა „სცადა“.

მეორე ნახევარი „ჰერტასი“ და ოლივერ კანის იყო, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა „ბაიერნი“. ჯერ მარსელინიოს, მერე კი ფრიდრიხს არ გაატანინა, რისთვისაც ნამატჩევს კლუბის მენეჯერისგან ქება დაიმსახურა. „ოლი ოლია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიო კლასის მეკარეა — თქვა ული ჰინესმა — ჩვენი შანსები ვერ გამოვიყენეთ, „ჰერტამ“ მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა, ფრე კი, ვფიქრობ, ლოგიკური შედეგია“.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ მეორე ნახევარში გატანილი გოლებით მოუგო „დუისბურგს“. მარკუს ბრუნსკამ ნაკუთხურალი ბურთი მოათავსა სტუმართა კარში, ხოლო ოცი წუთის შემდეგ ტობიას ვილიმ მასპინძელი ფილიპ დეგენი საპენალტედ წააქცია. თეთრმეტიანი მეტრიდან გოლი ტომაშ როსიცკიმ გაიტანა და მეტოქის წვალებას ბოლო მოუღო.

„დუისბურგმა“ წააგო, მაგრამ მისმა მდევრებმა, „ლაუტერნმა“ და „კიოლნმა“ ამით ვერ ისარგებლეს. კაიზერსლაუტერნში მარკო შტრელერმა პირველი ტაიმის მიწურულს კიოლნელი „თხები“ დააწინაურა, მაგრამ თანაგუნდელმა ლუკაშ სინკევიჩმა ორი წუთის მერე ნაჯაფი წყალში ჩაუყარა — საჯარიმოში ხელით ითამაშა, რის გამოც პენალტი დაინიშნა და თერთმეტმეტრიანით ბუბაქარ სანოგომ გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ შტრელერმა ისევ იყოჩაღა და გაიტანა, მაგრამ „კაიზერსლაუტერნმა“ ფაბიან შოინჰაიმის წყალობით უმალ გაათანაბრა.

„მაინცი“ მოჰამედ ზიდანის პენალტით შვიდი წუთის განმავლობაში უგებდა „არმინიას“, სტუმრებს კი ქულა ისააკ ბოაკიეს გოლმა მოუტანა.

ვაჟა ხუციშვილი

ბაიერნი	20	16	3	1	39:13	51
ვერდერი	19	13	3	3	51:23	42
ჰამბურგი	19	12	5	2	31:12	41
შალკე	19	9	8	2	22:12	35
ჰერტა	20	7	8	5	29:26	29
დორტმუნდი	20	7	7	6	28:26	28
შტუტგარტი	19	5	11	3	21:18	26
გლადბახი	19	6	7	6	25:26	25
ჰანოვერი	19	4	11	4	28:25	23
ლევერკუზენი	19	5	7	7	26:28	22
აინტრახტი	19	6	4	9	26:30	22
არმინია	20	5	6	9	23:29	21
ვოლფსბურგი	19	5	6	8	21:32	21
მაინცი	20	5	5	10	31:33	20
ნიურნბერგი	19	4	6	9	21:32	18
დუისბურგი	20	3	7	10	18:35	16
კიოლნი	20	3	5	12	28:45	14
ლაუტერნი	20	3	5	12	27:50	14

ექვსი მატჩი, რომელშიც „ბაიერნმა“ ვერ გაიტანა

ჰერტა — ბაიერნი	0:0	ბუნდესლიგა
ბაიერნი — ჰამბურგი	0:0	გერმანიის თასი
შტუტგარტი — ბაიერნი	0:0	ბუნდესლიგა
ჰამბურგი — ბაიერნი	0:0	ბუნდესლიგა
შალკე — ბაიერნი	1:0	ბუნდესლიგა
არსენალი — ბაიერნი	1:0	ჩემპიონთა ლიგა

ნიგერია გაძარცვეს

უფულო და უტელეფონო არწივები

ორუმას ტელეფონი მოჰპარეს

ნიგერიის ნაკრებს ბედმა აფრიკის თასის ნახევარფინალიდან გამოვარდნა არ აკმარა და კოტ დივუართან წაგებული მატჩის შემდეგ სასტუმროში დაბრუნებულ „სუპერარწივებს“ ოთახები გაქურდული დახვდათ. ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოახერხეს მძარცველებმა შეუმჩნევლად სასტუმროში შესვლა და ნიგერიელთა ოთახების „გასუფთავება“.

ფრანგული „მარსელის“ ნახევარმცველ უილსონ ორუმასთვის 6 ათასი დოლარი მოუპარავთ, ხოლო ნიგერიელთა ერთ-ერთი მეკარის ჯიბე 2 500 დოლარით შეთხელდა. სულ წაღებულია საკმაოდ სოლიდური თანხა, ფეხბურთელთა მობილური ტელეფონები და სხვა პირადი ნივთები.

სასტუმრო „ჰილტონ გრინ პლაზას“ თანამშრომლები მომხდარს ვერ ხსნიან, ხოლო პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება. ეგვიპტელმა ფეხბურთის მამებმა და ქვეყნის მაღალჩინოსნებმა ნიგერიელებს მოუბოდიშეს და ყველაფრის გარკვევას შეჰპირდნენ.

„სასტუმროში დაბრუნებულებს ოთახები გაქურდული დაგვხვდა. ეს მართლაც მოულოდნელი და უსიამოვნო ამბავია. საქმეში უკვე ჩაერთო პოლიცია და იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევა“ — თქვა ნიგერიის ნაკრების წარმომადგენელმა ბელო ოსაჟემ.

შეგახსენებთ, რომ ნიგერიას სენეგალთან მესამე ადგილისთვის მატჩი ელის, რომელიც დღეს კაიროში გაიმართება.

გიორგი კაკაბაძე

UEFA UNDER21 CHAMPIONSHIP

23 მაისს დაიწყება და 4 ივნისს დამთავრდება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელსაც პორტუგალია უმასპინძლებს. გუშინ პორტუში წილისყრა შედგა და რვა გუნდი ორ ჯგუფში გაანაწილეს.

A ჯგუფი: პორტუგალია, სერბეთი, საფრანგეთი, გერმანია

B ჯგუფი: იტალია, დანია, უკრაინა, ჰოლანდია

პირველ-მეორე ადგილზე გასულები ნახევარფინალში ითამაშებენ. A ჯგუფის პირველი B ჯგუფის მეორეს შეხვდება და პირიქით. ფინალი 4 ივნისს პორტუში „ბესაზე“ გაიმართება.

ფრთხილად, წინ გერმანელია!

მართალია, ჯოვანი ტრაპატონი გერმანიაში მუშაობს — „შტუტგარტს“ უდგას სათავეში, მაგრამ, მოგეხსენებათ, იტალიელია და სამშობლოს საფეხბურთო ცხოვრებას დაკვირვებით ადევნებს თვალს. „კორიერე დელო სპორტმაც“ ტიტულოვან მწვრთნელთან სწორედ იტალიურ თემებზე საუბრით იჯერა გული

— „იუვენტუსმა“ სკუდეტო ალბათ უკვე გაინაღდა, ხომ მართალია?

— თუ ამ გუნდის შედეგებს დაკვირდებით, მისი პირველი ადგილიდან დაძვრა წარმოუდგენლად მოგვეჩვენება.

— და „იუვენტუსი“ ასეთი ძლიერი არასდროს ყოფილა?

— ალბათ. ჩემი „იუვენტუსი“ მეტისმეტად იტალიური იყო, ეს კი ინტერნაციონალურია.

— „ინტერი“ კი, ამასობაში „მილანს“ ასწრებს. ნუთუ „შავ-წითელი“ პერიოდი დასრულდა?

— არა, რატომ. „მილანი“ საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია. მისი მთავარი პრობლემა დაცვაშია. დაცვა, ცოტა არ იყოს, გაუცვდა და გადახალისება სჭირდება.

— მეოთხე ადგილისთვის კი „რომა“ „ფიორენტინას“ აედევნა.

— „რომას“, ფაქტობრივად, თავდამსხმელი არ ჰყავს და ასეთ პირობებში რასაც აკეთებს, აღფრთოვანებას იწვევს.

— როგორ ფიქრობთ, რომაელები ასეთ უცნაურ რეჟიმში სეზონის ბოლომდე გაძლებენ?

— თავდასხმაში საყრდენი წერტილების გარეშე გუნდი მართლაც უცნაური სანახავია. დიდი ხნის წინ ასე „ლანეროსი ვიჩენცა“ თამაშობდა, თუმცა მისმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამ მეთოდს წარმატება დიდი ხნით ვერ მოაქვს. ელემენტარული ლოგიკა მიგვითითებს, რომ თავდასხმაში რამდენიმე ამპლუა უნდა იყოს.

— მაგრამ „რომას“ ჰყავს ფრანჩესკო ტოტი, რომელიც ყველაფერს აკეთებს და ყველას ამხნევებს.

— თავდამსხმელად ტოტი რამდენჯერმე ჯერ კიდევ კაპელომ ათამაშა. ის ელექტრონივით სხარტია, გამოკვეთილი პიროვნებაა, თავისი გუნდის მაისურა უყვარს. იყო თავის დროზე დიადი ვარსკვლავი, მიშელ პლატინი, რომელიც გასაოცარ ფეხბურთს თამაშობდა როგორც თავდასხმაში, ასევე თავდამსხმელთა უკნიდან. აი, ტოტის ფეხბურთი პლატინის უნივერსალიზმს მაგონებს.

— ლიპი პრობლემის წინაშეა: ტოტი თუ დელ პიერო. გახსოვთ, ადრე ვალკარეჯის ჰქონდა ასეთივე პრობლემა: მაცოლა თუ რივერა.

— აშკარად სწორი შედარებაა. დელ პიერო უფრო კომბინაციათა დამამთავრებელია. მას ზღაპრული გოლების გატანა ეხერხება, ტოტი კი, რივერას მსგავსად, გატანის გარდა კიდევ ფლობს სხვა საოცარ თვისებებს: გარღვევისა და სხვებზე ზემოქმედების უნარს, საოცრად განვითარებული აქვს გუნდური თამაშის ინტუიცია. მოკლედ, ისინი გარკვეული თვისებებით აშკარად ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ნაკრებს ეს შეიძლება გამოადგეს კიდეც.

— ბოლო დროს პეროტასაც ნამდვილი ფორვარდივით გააქვს გოლები.

— პეროტას უნარი კარგად ვიცი. ის სერიოზული და ალტრუისტი კაცია. ნაკრების მწვრთნელი რომ ვიყავი, მისი გამოძახებაც მინდოდა. ახლაც მინდა „შტუტგარტში“ გადავიყვანო, მაგრამ „რომა“ არ მითმობს.

— მაგრამ მთავარი ბომბარდირი ლუკა ტონია, რომელსაც „ფიორენტინა“ ჩემპიონთა ლიგისკენ მიჰყავს.

— ტონი ამჟამად საუკეთესოა. ის იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდ სარგებლობას მოუტანს, მსოფლიოს ჩემპიონატი კი ტონისთვის შეიძლება სცენად გამოდგეს. მეორე მხრივ, მისი იტალიელ ბატისტუტად მოხსენიება ჯერ ადრეა.

— და ჯილარდინო?

— ჯილარდინო პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე რომ არ წავიყვანე, ბევრი მაკრიტიკეს. მინდა, გითხრათ, რომ ისევე, როგორც ზოგადად ცენტრალურ თავდამსხმელებს, ზრდისთვის მასაც დრო სჭირდება. მათი როლი ხომ ურთულესია.

— კასანო კი უკვე ყველას დაგვავიწყდა?

— სრულებითაც არა. ანტონიო, დისციპლინარული მხარის მიუხედავად, დიდი ნიჭის ფეხბურთელია. ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოავლენს „რეალში“ თავს.

— პირველ მარტს ფლორენციას იურგენ კლინსმანი და გერმანიის ნაკრები ეწვევიან. ბოლოს იტალია და გერმანია ერთმანეთს 2003 წელს შტუტგარტში შეხვდნენ. იმ თამაშში იტალიას ტრაპატონი ხელმძღვანელობდა და გაამარჯვებინა. ალბათ, გერმანიას რევანში სურს.

— „სკუადრა აძურას“ სერიოზული გამოცდა ელის. გერმანელები ტრადიციულად მიზანმიმართული და მრისხანე მეტოქეები არიან.

— სანაკრებო დაპირისპირების გარდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ბაიერნი“ „მილანს“ ხვდება, „ვერდერი“ კი „იუვენტუსს“.

— „მილანი“ უფრო დიდი ამოცანის წინაშე დგას. პროგნოზი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. მიუნხენელებმა შეჯიბრების პირველ ეტაპზე, „იუვენტუსთან“ უკვე გამოაჩინეს ბრჭყალები. მათ მორევას დიდი „მილანი“ დასჭირდება. „იუვენტუსი“ კი პირიქით, ფავორიტის როლშია, თუმცა გერმანელებთან ყოველთვის უკიდურესი ყურადღებაა საჭირო. მერედა, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვერდერს“ მიროსლავ კლოზეც დაუბრუნდება, იგი კი არაორდინარული თავდამსხმელია.

— მოკლედ, იტალიურ კლუბებს კლოზეს შეძენას ურჩევთ?

— ულაპარაკოდ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მას ბევრი წაეპოტინება.

ფეხბურთის რუკასთან

ფრანგული „ტულუზას“ ფეხბურთელ ახილ ემანას ლონდონის „არსენალისკენ“ მიუწევს გული. „მეთოფეთა“ სკაუტებმა რამდენჯერმე ნახეს კამერუნელი ნახევარმცველის თამაში და მოხიბლულნი დარჩნენ. 23 წლის ემანა ამჟამად ევროპაში ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლება. „არსენალს“ აღარ ჰყავს პატრიკ ვიეირა, რომლის შეცვლაც მე შემიძლია — განაცხადა ტულუზელმა — აგენტმა უკვე მითხრა, რომ ლონდონელები ჩემით დაინტერესდნენ. არსენ ვენგერი თუ მოინდომებს, სიხარულით დავყაბულდები „არსენალში“ თამაშს“.

იტალიური „უდინეზეს“ ნახევარმცველ სულეი მუნტარის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. განელი ფეხბურთელი გასულ უქმეებზე „იუვენტუსთან“ მატჩში 37-ე წუთზე გააძევეს. წითელი ბარათის დანახვისას მუნტარი გახელდა და მსაჯ ანტონიო დატილოს ეცა. შემდეგ „იუვეს“ ფანები შეურაცხყო, ბოლოს კი გვირაბისკენ მიმავალმა ტელეოპერატორი და ფოტოგრაფებიც ზედ მიაყოლა. მხოლოდ წითელი ბარათისთვის ერთი მატჩი უნდა გამოეტოვა, მაგრამ ჩხუბის გამო სამმატჩიან სასჯელს გამოჰკრა ხელი.

ესპანური „ვილიარეალის“ გამთამაშებელმა ხუან რომან რიკელმემ ბარძაყი იტკინა და სამკურნალოდ სამშობლოში გაემგზავრა. არგენტინელი პრიმერადივიზიონის მომდევნო ორ მატჩში ვერ დაეხმარება „ვილიარეალს“. კლუბს არ დაუზუსტებია, როდის დაბრუნდება რიკელმე ესპანეთში, მაგრამ იმედოვნებენ, რომ 22 თებერვალს, „რეინჯერსთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური შეხვედრისთვის, ჯანზე იქნება.

შოტლანდიური „სელტიკის“ უელსელმა ფორვარდმა ჯონ ჰართსონმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. „გამიჭირდა ამის გადაწყვეტა, რადგან ჩემი ქვეყნისთვის და ხალხისთვის თამაში მუდამ დიდ სიამოვნებას მანიჭებდა — თქვა ჰართსონმა — ახლა ნაკრებისგან თავისუფალ ვიქნები და 100 პროცენტით „სელტიკისთვის“ დავიხარჯები“. ჯონ ჰართსონის დებიუტი სქოთთა ეროვნულ გუნდში 1995 წელს შედგა და მას შემდეგ 51 მატჩში 14 გოლი მიითვალა.

იტალიური „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ განაცხადა, რომ მისი გუნდის მცველი მასიმო ოდო არ იყიდება. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ოდოს „მილანში“ გადასვლაზე საუბრობდნენ, რომელსაც მარკოს კაფუს შემცვლელი სჭირდება. „ლაციოს“ და „მილანის“ პრეზიდენტები შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ლოტიტომ თქვა, მცველის ტრანსფერზე არ გვისაუბრია მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებებზე ვიმასლაათეთო.

დიკ ადვოკაატმა, რუსეთი ჭორიაო

დიკ ადვოკაატი

რუსეთის ეროვნულ ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე უცხოელი მწვრთნელი რომ ეყოლება, ეს ძველი ამბავია. რუსთა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ ამის შესახებ არაერთხელ განცხადა. მისი თქმით, ორ გამოცდილ და ავტორიტეტულ სპეციალისტზე ფიქრობენ, საბოლოო არჩევანი კი ალბათ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე გაკეთდება. მუტკო მთ ვინობას ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს.

ცხადია, ჟურნალისტები და ქომაგები ვერ ითმენენ და უკვე მრავალი ჭორი გავრცელდა. ბოლო დროს ყველაზე ხშირად დიკ ადვოკაატის სახელის ახსენებდნენ. რუსული პრესა იუწყებოდა, ჰოლანდიელი მწვრთნელი მუტკოს შეხვდა და. მხარეები ორწლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივითო. თუმცა თავად ადვოკაატმა ეს ინფორმაცია უარყო:

„ეს ჭორია, სამხრეთ კორეასთან კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მეწურება და ეს მითქმა-მოთქმაც ამის გამო დიწყო. გარწმუნებთ, რუსებთან არანირი მოლაპარაკება არ მქონია“.

ჰოლანდიელმა ისიც დაამატა, კარიერას სად გავაგრძელებ, ამაზე ჯერ არა მიფიქრია, ახლა მხოლოდ სამხრეთ კორეა და მომავალი მუნდიალი მაღელვებსო.

აზიელები ამჟამად ამერიკაში იმყოფებიან, სადაც სამი ამხანაგური მატჩი ელით — „ლოს ანჯელესთან“, კოსტა რიკასთან და მექსიკასთან.

კოკი ანდელაკი

ვიტალი მუტკო

თურქეთს ფიფას გრიპი შეეყარა

„ბარემ ჩამოგვახრჩეთ!“ — ასეთი სათაური „გაუგზავნა“ გუშინ გაზეთ „ჰურიეთმა“ ფიფას, რომელმაც თურქეთის ნაკრებს შვეიცარიელებთან ჩხუბის გამო ექვმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაუშანშალა.

ოსმალოთა ეროვნული გუნდი ექვს საშინაო შეხვედრას ნეიტრალურ მოედანზე, უმაყურებლოდ გამართავს.

„ესაა ისტორიაში უსაშინლესი სასჯელი — წერს „აქშამი“ — ფიფამ თურქეთი მოსპო“.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას 129 ათასი ევრო ააფცქვნეს. ალფაი ოზალანი და ემრე ბელოზოღლუ ექვს სანაკრებო მატჩს გამოტოვებენ. გარდა ამისა, თითოეული მათგანი 9 660 ევროს გადაიხდის.

„ფენერბაჰჩეს“ ნახევარმცველ სერკან ბალჯის ორმატჩიანი უქმობა აკმარეს და 3 220 ევროიანი ქვითარი გამოუწერეს.

ფათიჰ თერიმის თანაშემწე მეჰმეთ ოზდილეკი სხვებზე მეტად დაისაჯა. იგი ერთი წლით დაითხოვეს ფეხბურთიდან და 15 ათასი ევრო „ააფცქვნეს“.

„ამას დასჯა კი არა, განადგურება ჰქვია“ — წერს „საბაჰი“ — ფიფამ თურქ გულშემატკივრებს ფეხბურთი უსამართლოდ წაართვა“.

„ჯუმურიეთმა“ კი ყველაფერი ფიფას შვეიცარიელ პრეზიდენტს დაუბრალა, სადისციპლინო კომიტეტმა ზეპ ბლატერის შეკვეთა შეასრულაო.

„ვატანი“ ერთადერთი გაზეთი გამოდგა, რომელმაც ფიფასკენ ხელი არ გაიშვირა: „იოლად გამოვედით. თურქებს თვითკრიტიკა არ გვიყვარს და ეგებ ახლა მაინც მოვიდეთ გონს“.

ფეხბურთის ფედერაციის გაოგნებულმა პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსომ სტამბოლის აეროპორტში განაცხადა: „შოკში ვარ, ასეთ მკაცრ სასჯელს არ ველოდი. ფიფამ ფაქტობრივად ომი გამოგვიცხადა, განაჩენს აუცილებლად გავასაჩივრებთ და ვიმედოვნებ, რომ ექვსიდან ორი მატჩის შინ გამართვის უფლებას მაინც მოგვცემენ“.

რომან თურქია

ჰალუკ ულუსოის ფიფა ეომება

კაპელო — ფრანკოს ფანი

„იუვენტუსის“ მწვრთნელს, განთქმულ ფაბიო კაპელოს მადრიდის „რეალში“ და საერთოდ ესპანეთში გატარებული პერიოდი ენატრება.

„ესპანეთი საოცარი ქვეყანაა, ევროპაში ამჟამად ყველაზე უკეთ ვითარდება — განაცხადა კაპელომ „ლა რეპუბლიკასთან“ საუბარში — მადრიდელთა ტემპერამენტი დიქტატორ ფრანკოს დატოვებულ წესრიგს შესანიშნავად ერწყმის. ფრანკომ ესპანეთი ძლიერ ქვეყნად აქცია. იქ განათლების, სისუფთავისა და ურთიერთპატივისცემის პრობლემებს არ განიცდიან და ბიუროკრატიაც ნაკლებად აწუხებთ“.

„იუვენტუსის“ თავკაცმა ფეხბურთისთვისაც „მოიცალა“ და თქვა, ძალიან ენანობ, „რეალი“ „მილანის“ გამო რომ დავტოვეო. „როცა იტალიაში დავბრუნდი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ცხოვრებაში უკან გადავდგი ნაბიჯი. ესპანეთში მატჩის მერე სტადიონიდან წამოსვლა პოლიციის ესკორტის გარეშეც შეიძლება, აქ, იტალიაში, კი ამას ვერაფრით ვერ შეძლებ“ — ამბობს კაპელო. ლა „რეპუბლიკასთან“ ინტერვიუს დასასრულს კი დონ ფაბიომ აღნიშნა, სამწვრთნელო საქმიანობას 2008 წელს უნდა ჩამოვცილდეო: „დავიღალე, როცა ფეხბურთის შევეშვები, მსოფლიოს გარშემო ვიმოგზაურებ...“

ლადო ხომერიკი

კარლო მაცონე

კრისტიანო ლუკარელი

გაცივება, სურდო, ხველა... ტელევიზორში დონადონის ძალიან ეტკინა

„ლივორნოს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — 68 წლის რომაელი სპეციალისტი კარლო მაცონე, რომლის თანამდებობაზე ექვსი თვით დანიშვნის ამბავი იტალიურმა კლუბმა წინა თავკაცის, რობერტო დონადონის გათავისუფლებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ახალ ადგილას მაცონეს დებიუტი გუშინ არ შემდგარა. საქმე ის გახლავთ, რომ წინა სეზონის ბოლოს „ბოლონიას“ გავარდნასთან დაკავშირებული ვნებათაღელვის გამო მაცონეს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რომელიც ბოლომდე მოხდილი არ ჰქონდა. ასე და ამგვარად, „ლივორნოსა“ და ვეტერანი ტაქტიკოსის პირველი საბრძოლო გამოცდა კვირას ახალი მწვრთნელის ერთ-ერთ ყოფილ კლუბთან, „ფიორენტინასთან“ შედგება.

მაგრამ, „ლივორნოსთან“ დაკავშირებულ ისტორიაში კარლო მაცონეს დანიშვნაზე საინტერესო რობერტო დონადონის მოულოდნელი წასვლაა. „მილანის“ ოდინდელმა ვარსკვლავმა საგანგებო პრესკონფერენციაც კი მოაწყო, სადაც განაცხადა, რომ ასეთი მტკივნეული გადაწყვეტილება, რაც ფეხბურთშია, არ მიუღია.

„ყველაზე მძიმე ის გახლდათ, რომ გუნდიდან წასვლამ „ასკოლისთან“ პრინციპული მატჩის წინ მოგაცივება კი არ მჩვევია. მოულოდნელი გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ სხვა გზა არ მქონდა. ვიცოდი, პრეზიდენტი ალდო სპინელი „მესინასთან“ 2:2-ით უკმაყოფილო იყო, მაგრამ მეგონა, ღია და გულწრფელ საუბარს შემომთავაზებდა, ის კი პირდაპირ ტელევიზიაში წავიდა და გამაკრიტიკა. თუ მას ამ გზით ჩემი სამსახურიდან გაშვება ჰქონდა ჩაფიქრებული, მიზანს მიაღწია, თუმცა მე მისი მიზნებისა და გეგმების გამოძიება არაფრად მჭირდება. პრეზიდენტი სპინელი ის ადამიანია, რომელმაც მწვრთნელად მუშაობის საშუალება მომცა და სერია B-სა და სერია A-ში მისი წყალობით მივიღე გამოცდილება.“

სურათს დამატებითი შტრიხები დონადონის ყოფილმა აგენტმა, დღეს „ლივორნოს“ ფეხბურთელის, კრისტიანო ლუკარელის წარმომადგენელმა კარლო პალავიჩინომ შეამატა. მან განაცხადა, რომ დონადონისთან 18 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა და კარგად იცის, რაც მოხდა მის გარშემო:

„რობერტო და სპინელი მეგობრები იყვნენ და, ამის გათვალისწინებით, კაცმა ყველაფერი იოლად შეიძლება წარმოიდგინოს. მატჩის შემდეგ რობერტო მას ურეკავდა, შეხვედრა და „მესინასთან“ თამაშზე ლაპარაკი უნდოდა, სპინელიმ კი უპასუხა, საშინლად გაცივებული ვარ და ვერ გნახავო. ამ პასუხიდან 20 წუთში კი პრეზიდენტი ტელევიზიით გამოვიდა...“

სპინელისა და დონადონის ასეთი მოულოდნელი გაყრის მიზეზად იტალიური პრესა ზემოხსენებული ლუკარელის ფაქტორსაც ასახელებს. ეს ფეხბურთელი „ლივორნოში“ ვარსკვლავთ ვარსკვლავის სტატუსით სარგებლობს და ამბობენ, რომ მწვრთნელს სწორედ მისი პრეტენზია-ამბიციების გამო გაურთულდა ცხოვრება, თუმცა პალავიჩინოცა და თავად ლუკარელიც ამ ჭორს უარყოფენ.

„ამაზე საუბარი სირცხვილია — თქვა პალავიჩინომ — ორშაბათს მთელი გუნდი ერთად, სრულიად მშვიდად და საქმიანად არჩევდა კვირის თამაშს და არანაირი კონფლიქტი არავის არავისთან არ ჰქონია. აი, სპინელის კი ადრე სხვა მწვრთნელებთანაც ჰქონია უსიამოვნებანი.“

ლუკარელი კი გაბრაზდა: „ყელში ამომივიდა ეს ჭორაობა. როგორც კი ამ გუნდში რაიმე ხდება, იმწუთას ჩემს სახელს აჭრიალებენ. დონადონისთან რამდენიმე საათი ვიდექი და ვცდილობდი, დამერწმუნებინა, არ წასულიყო, ამის ნაცვლად კი გაზეთები წერენ, რომ მე მასთან ვიჩხუბე!“

პაპუნა კედია

იტალია

სერია B. XXVIII ტური

ალბინოლეფე — პიაჩენცა 2:2; აველინო — ჩეზენა 2:0; ბოლონია — ბარი 1:0; ბრეშა — ვერონა 3:2; კრემონეზე — არეცო 0:1; პესკარა — მოდენა 1:0; რიმინი — მანტოვა 1:3; ტერნანა — ატალანტა 0:0; ვიჩენცა — ტორინო 3:2

მანტოვა	28	14	10	4	35:21	52
კატანია	27	14	8	5	39:27	50
ატალანტა	28	15	5	8	42:31	50
ჩეზენა	28	13	8	7	41:30	47
ბრეშა	28	11	13	4	37:23	46
ტორინო	28	11	11	6	31:24	44
არეცო	28	11	10	7	29:20	43
კროტონე	27	11	7	9	27:25	40
პესკარა	27	11	7	9	28:27	40
პიაჩენცა	28	9	11	8	38:33	38
ბოლონია	28	9	11	8	31:29	38
ვერონა	27	8	12	7	30:25	36
რიმინი	28	9	9	10	32:33	36
მოდენა	28	7	13	8	36:32	34
ტრიესტინა	27	8	10	9	27:31	34
ვიჩენცა	28	9	6	13	28:36	33
ბარი	28	7	11	10	28:32	32
ტერნანა	28	5	12	11	22:36	27
აველინო	28	6	9	13	28:46	27
ალბინოლეფე	28	4	13	11	20:32	25
კატანძარო	26	4	6	16	14:35	18
კრემონეზე	27	3	8	16	21:36	17

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIII ტური

როზენდალი 0:5 ალკმაარი

0:1 ვან გალენი (11), 0:2 მეერდინკი (37), 0:3, 0:4, 0:5 არველაძე (55, 64, 83)

ალკმაარი: ტიმერი, ჯალენსი, მატიისენი, დე ზეუვი, სტეინსონი, ლანძაატი, ვან გალენი (ბედუნჯანინი 46), მოლოეკი (ბიუსკერმოლენი 73), მეერდინკი (იკედია 60), არველაძე, ჰოუსეგემი

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

სპარტა 1:0 გრონინგენი

1:0 დე ფაუვი (84)

პსვ	22	17	3	2	45:14	54
ალკმაარი	23	16	4	3	60:21	52
ფეიენოორდი	22	16	3	3	57:21	51
ნაიმეგენი	22	11	5	6	31:23	38
გრონინგენი	23	11	4	8	30:26	37
ჰერენვენი	22	10	6	6	43:32	36
უტრეხტი	22	10	6	6	32:27	36
აიაქსი	22	10	4	8	37:30	34
ვიტესი	22	10	3	9	34:31	33
ვალვაიკი	22	9	4	9	37:40	31
როდა	22	8	2	12	34:42	26
ჰერაკლესი	22	7	5	10	23:41	26
ტვენტე	22	7	4	11	28:27	25
სპარტა	23	6	6	11	19:29	24
ბრედა	22	5	6	11	25:40	21
დენ ჰააგი	22	5	3	14	22:45	18
ტილბურგი	22	3	5	14	24:47	14
როზენდალი	23	0	5	18	13:58	5

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

დანდი იუნ. 1:1 ჰარტსი

1:0 ბრებნერი (35), 1:1 ბრებნერი (83ს.ჯ.)

სელტიკი	24	18	4	2	63:26	58
ჰარტსი	25	15	6	4	50:20	51
რეინჯერსი	24	12	7	5	44:28	43
ჰიბერნიანი	24	13	2	9	41:34	41
კილმარნოკი	24	10	7	7	44:39	37
ინვერნესი	24	8	10	6	32:25	34
მოზერუელი	24	8	6	10	38:43	30
აბერდინი	24	6	11	7	27:29	29
დანდი იუნ.	25	6	9	10	29:40	27
ფოლკირკი	24	5	5	14	24:48	20
დანფერმლაინი	24	3	5	16	19:45	14
ლივინგსტონი	24	2	6	16	13:47	12

ამხანაგური მაჩტები

ომანი 1:0 სინგაპური
სირია 3:0 პალესტინა
ძუვეითი 2:1 იორდანია

რეკლამა
სარბიელ-ში
სარეკლამო სამსახური:
38-11-14, 877 54 55 00

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
-ინგლისი. პრემიერლიგა								
11 თებერვალი								
16:45	1	უიგანი-ლიდერპული	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
19:00	2	ეფერტონი-ბლეკბერნი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
19:00	3	მიდლსბრო-ნიულსი	8.00	4.30	1.35	2.79	1.15	1.02
19:00	5	ფულჰემი-ვესტ ბრომი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
19:00	6	ასტონ ვილა-ნიუკასლი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
19:00	7	არსენალი-მილტონი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
21:15	8	პორტსმუთი-მანჩესტერი	6.30	3.50	1.55	2.25	1.24	1.07
12 თებერვალი								
17:30	10	სანდერლენდი-ტოტენჰემი	6.00	3.50	1.55	2.21	1.23	1.07
20:00	12	სიტი-ირლენი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
13 თებერვალი								
23:45	13	ვესტ ჰემი-ბირმინგემი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
ინგლისი. ჩემპიონატი								
10 თებერვალი								
23:45	16	რედინგი-საუთჰემპტონი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
11 თებერვალი								
19:00	17	კარლაილი-სტოკი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
19:00	18	იფსვიჩი-ბარნლი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61
19:00	19	უოტფორდი-ქოვენთრი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	20	ულვერჰემპტონი-კრისტალ პალასი	2.90	3.10	2.25	1.49	1.26	1.30
19:00	21	ვულვერჰემპტონი-ქრიუ	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
19:00	22	დერბი-ლიდსი	2.90	3.10	2.25	1.49	1.26	1.30
19:00	23	ბრაიტონი-ლესტერი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
19:00	24	ბრესტონი-ლუტონი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:00	25	ჭბრ-მიდლუელი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	26	ალი-ნორვიჩი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
19:00	27	ბლიჩეთი-ფულჰემი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
ინგლისი. I ლიგა								
10 თებერვალი								
23:45	29	პარლაჩული-ნესტერფიელდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
23:45	30	საუთენდი-როთერჰემი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
11 თებერვალი								
19:00	31	პაიერსფილდი-კოლჩესტერი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
19:00	32	ბორნმუთი-ოლდჰემი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	33	ფოლხილი-სკუნთორპი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	34	ნიუნგეტი-სუონსი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	35	ბრედფორდი-სუინდონი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	36	ჯილინგჰემ-ტრანმერი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	37	ბორტ ვალა-ილკლი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
19:00	38	დონკასტერი-ბარნსლი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	39	დონხა-ბლეკპული	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
19:00	40	ბრისტოლი-ბრენტფორდი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
ინგლისი. II ლიგა								
11 თებერვალი								
19:00	42	ნესტერი-სტოკპორტი	2.05	3.40	3.00	1.27	1.21	1.59
19:00	43	ლინკოლნი-ტორკი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
19:00	44	მაკლესფილდი-რექსჰემი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
19:00	45	რიჩმონდი-ბარნეტი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
19:00	46	გრიმსბი-ბოსტონი	1.85	3.20	3.90	1.17	1.25	1.75
19:00	47	დარლინგტონი-როტერჰემი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	48	ლეიტონი-კარლაილი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	49	უოლსოლი-ჩესტერფილდი	1.60	3.40	5.20	1.08	1.22	2.05
19:00	50	სელჩესტერი-ნორთამპტონი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
19:00	51	რაშდენი-ნიტსი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
19:00	52	ბერი-იფსუიჩი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	53	შრიუსბერი-პეტერბორო	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
ინგლისი. კონფერენსი								
10 თებერვალი								
23:45	55	ბარტონი-ექსეტერი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
11 თებერვალი								
19:00	56	კიდერმინსტერი-გრეიტსენდი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
19:00	57	ჰერფორდი-სალიფენი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	58	სტიკლეიჯი-ჰორიკეინი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	59	ფორეტ გრინი-სტრუბერი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	60	ვიკინგი-ტეფორთი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	61	ალტრინჩამი-კემბრიჯი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	62	ხაუთჰორტი-კინვი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	63	გრეიხი-ჭრიელი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
19:00	64	აერინგტონი-დაგ ენდ რედი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
12 თებერვალი								
18:00	65	ილეიტი-ალდერშოტი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
შოტლანდია. I დივიზიონი								
11 თებერვალი								
19:00	82	რეხი-ალბიონი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:00	83	სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
19:00	84	სტრანრაერი-კალიდონი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
19:00	85	დანდი-ქუინი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
19:00	86	ბრეჩინი-ეარი	3.70	3.40	1.80	1.77	1.21	1.17

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შოტლანდია. II დივიზიონი								
11 თებერვალი								
19:00	87	ეარი-ალაია	1.60	3.60	4.70	1.10	1.19	2.03
19:00	88	პიტერჰედი-გრეტნა	4.80	3.60	1.55	2.05	1.17	1.08
19:00	89	პარტიკი-მორტონი	2.50	3.20	2.40	1.40	1.22	1.37
19:00	90	დამბარტონი-რეითი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
19:00	91	ფორფარი-სტირლინგი	3.30	3.30	1.90	1.64	1.20	1.20
შოტლანდია. III დივიზიონი								
11 თებერვალი								
19:00	92	სტენჰაუსმური-ბერიკი	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
19:00	93	ალბიონი-კოუდენბით	4.20	3.50	1.65	1.90	1.18	1.12
19:00	94	ისტ ფიფი-ისტ სტირლინგი	1.45	3.90	5.50	1.05	1.14	2.28
19:00	95	არბროთი-ელგინი	1.75	3.50	3.80	1.16	1.19	1.82
19:00	96	მონტროზი-ქუინს პარკი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
შვეიცარია. სუპერლიგა								
12 თებერვალი								
17:30	142	აარაუ-გრასჰოპერი	3.60	3.40	1.90	1.74	1.24	1.21
17:30	143	შაფჰაუსენი-სტ.გალენი	2.35	3.30	2.60	1.37	1.23	1.45
17:30	144	ქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

გიორგი გოგშელიძეს დანაპირებს ჯერ მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტი უსრულებს

ათენის ოლიმპიადის შემდეგ ხელისუფლება „მამლუქების“ ისევ „გაქართველებაზე“ რომ ალაპარაკდა და გულუხვი დაპირებებიც არიგა, ძველი ამბავია. ახალი ამბავი კი ისაა, რომ ბრიფინგებისა და დაპირებების იქით საქმე რეალურად თითქმის არც დაძრულა

გოგშელიძეს ლობი გაუჩნდა

მოჭიდავის ამბავმა მთავრობა და პარლამენტი შემოიარა

თავისუფალი სტილის მოჭიდავე, რუსეთის სახელით 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც არც დაფიქრებულა, ისე არჩია ქართული პერსპექტივა რუსულ ფულს და მოსკოვურ თბილ სახლს...

...მაგრამ!

გიორგიმ რუსებისგან გამოწერილი ორწლიანი დისკვალიფიკაციაც ხელისუფლებისგან დაპირებულ სახლში კი არა, გორში ნაქირავებ ბინაში მოიხადა. ამაზე გუშინდელ „სარბიელში“ თავად გიორგი გოგშელიძის მონაყოლიდან გაიგებდით და აქ მეტს აღარაფერს ვიტყვით.

დავინტერესდით, როდის მიიღებს 2008 წლის პეკინის ოლიმპიადისთვის ქართველთა ერთ-ერთი მთავარი იმედი დაპირებულ კერას. ამის გასარკვევად თავიდან ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს კახა გეწაძეს ბათუმში დავუკავშირდით, სადაც აჭარის ხელმძღვანელთან, ლევან ვარშალომიძესთან საქმიან შეხვედრაზე იმყოფებოდა: „გოგშელიძეს მთავრობა დაჰპირდა ბინას და, წესით, პრობლემა არ უნდა წარმოქმნილიყო, რადგან ასეთი პრეცედენტი უკვე იყო, მაგრამ მერიამ გოგშელიძისთვის ბინა აღარ გამოყო. ახალი მერის გიგი უგულავას განმარტებით, მერიას ბინის ასე გამოსაყოფი საკანონმდებლო ბაზა არ აქვს. ახლა კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად ვცდილობთ, ეს პრობლემა მოვაგვაროთ. ჯერ ვერ ვიტყვი, გოგშელიძისთვის ბინის შესაძენ ფულს სამინისტროს ბიუჯეტი გამოყოფს თუ სპონსორს ვიპოვით. ორივე მხრივ მიდის მუშაობა და გოგშელიძე დანაპირებს აუცილებლად მიიღებს. ყველა პირობას შევასრულებთ“.

გეწაძის შემდეგ თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსს გია უდესიანს დავუკავშირდით: „არა მგონია, გიგი უგულავას უარი ეთქვა, თუმცა საქმის კურსში არ ვარ და ბევრს ვერაფერს გეტყვით. ისე კი, გპირდებით, რომ ამ საკითხზე ბატონ მერს შეეხვდები და დავილაპარაკებთ. გიგი უგულავა ქალაქის სპორტის სამსახურს მაქსიმალურად ეხმარება და დარწმუნებული ვარ, გამოსავალს ვიპოვით“.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ტურინშია ზამთრის ოლიმპიადაზე. კომენტარი მისმა მოადგილემ გია გალდავამ გააკეთა, რომელიც შინაური კაცია ჭიდაობის სამყაროში — ლუკა კურტანიძის პირადი მწვრთნელიც იყო.

გია გალდავა: „გიორგი გოგშელიძე ჩვენი მთავარი იმედია პეკინის ოლიმპიადაზე. მედლების რეალური კანდიდატია და ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი. გორიდან თბილისში სავარჯიშოდ სიარული მისთვის დამღუპველია. თუ სპარინგები არ გამართა და კარგ პირობებში არ ივარჯიშა, მაშინ რაღა აზრი აქვს მის მომზადებას?! გორში არანაირი პირობები არ არის სავარჯიშოდ. გიორგის ბინის პრობლემა სასწრაფოდ მოსაგვარებელია. ამაში დეპარტამენტიც ჩართულია და სამინისტროსთან ერთად უნდა გამოვნახოთ საშუალება. ამ დღეებში მინისტრ გოკა გაბაშვილთან გვექნება შეხვედრა და იმედია, სახსრებს მოვიძიებთ. ყოველი შემთხვევისთვის, გოგშელიძეს ბინა აუცილებლად ექნება“.

კულტურის და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი დავით ნამგალაურთან და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან ერთად ტურინშია. სამინისტროს პრესცენტრში კი გვითხრეს, რომ გიორგი გოგშელიძის ბინის პრობლემა არც დადგებოდა, რომ არა გიგი უგულავას უარი. სამინისტროში ახლა ალტერნატიულ გზას ეძებენ გოგშელიძის ბინის პრობლემის მოსაგვარებლად.

ერთ-ერთი ინფორმაციით, ამ საქმეში ბადრი პატარკაციშვილიც ჩართვება, თუმცა ოლიმპიურ კომიტეტში ამაზე არაფერი იცოდნენ. ისე კი, ქართულ ოლიმპიურ სახლში გვითხრეს, რომ გოგშელიძე ოლიმპიური ფონდიდან უკვე იღებს 800-ლარიან ყოველთვიურ სტიპენდიას და ეს თანხა პეკინის ოლიმპიადისთვის მზადების მთავარ ეტაპზე გაიზრდება. მისი დონის სპორტსმენისთვის ეს თანხა 1000-1500 ლარის ფარგლებში მერყეობს.

რადგან გიორგი გოგშელიძეს ბინას და ელემენტარულ პირობებს მთავრობა დაჰპირდა, „ნაციონალი“ პარლამენტარის, სპორტის მთავარი ლობისტის ვალერი გიორგობიანის პოზიციითაც დავინტერესდით და მოულოდნელი პასუხიც მივიღეთ: „ის, რომ გიორგი გოგშელიძისთვის ბინა ჯერ კიდევ არ მიუციათ, თქვენი გაზეთიდან გავიგე. მეგონა, რომ ყველა პირობა უკვე შესრულებული იყო. თანაც ჩვენმა პრეზიდენტმა ბრძანა, საქართველოში დაბრუნებულ სპორტსმენებს პრობლემები არ შეჰქმნოდათ. ვერც ვიფიქრებდი, თუ ასეთი დონის სპორტსმენი ისევ ნაქირავებ ბინაში იქნებოდა, თანაც გორში. გპირდებით, ამ საქმეს პირადად მიეხედავ. თვითონ დავურეკავ გოგშელიძეს, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ კახა გეწაძეს და ყველა იმ პირს შევკრებ, ვისაც ამ პირობების მოგვარება ევალებოდა. ახლავე გეტყვით, რომ გიორგი გოგშელიძეს დანაპირებს შევუსრულებთ“.

ბაჩო სვანიძე

აჭარული სიახლეები

მოჭიდავეები ევროპის სამასპინძლოდ ემზადებიან

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

გუშინ ბათუმში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე აჭარაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ლევან ვარშალომიძეს შეხვდა. სასაუბრო თემა მოახლოებული საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი იყო. მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს და ჭიდაობის ფედერაციის დამტკიცებული კალენდრის შეცვლაც გადაწყდა.

„წინასწარი გეგმით, ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატი ორ ნაწილად უნდა ჩატარებულიყო — გვითხრა გეწაძემ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ — 3-4 მარტს ბერძენ-რომაელებს თბილისში უნდა ეჭიდავათ, ხოლო 11-12 მარტს თავისუფლებს — გორში. უკვე შემიძლია, გადაჭრით ვთქვა, რომ ორივე სტილის ჩემპიონატს ბათუმი უმასპინძლებს. ლევან ვარშალომიძე ჩვენს ინიციატივას სიამოვნებით დათანხმდა და ახლა მოსაგვარებელი საორგანიზაციო საკითხებიღა დარჩა. ტურნირი 11-14 თებერვალს „ბასკოს“ საკალათბურთო დარბაზში გაიმართება“.

ჭიდაობის ფედერაციის თავკაცებს გადაუწყვეტიათ, საქართველოს ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქი ყოველწლიურად ცვალონ, რაც სპორტის ამ სახეობის პოპულარობას გაზრდის. წლევანდელ სეზონში ერთი ახალი ტურნირიც ჩაუმატებიათ. რეგიონული პირველობა სხვადასხვა რეგიონში ჩატარდება და ნელ-ნელა რეგიონების ნაკრებებიც დაკომპლექტება.

ბოლოს ერთი ბათუმური სიახლეც, რომლის შესახებაც კახა გეწაძემ გვაცნობა:

„ბასკოს“ დარბაზის გვერდით ძველი სპორტკომპლექსია. მისი რემონტი ახლო მომავალში დაიწყება. წლის ბოლოს კი საერთაშორისო სტანდარტების საჭიდაო სკოლა უკვე მზად იქნება და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში (FILA) კადეტთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის განაცხადსაც მაშინვე შევიტანთ. ფილას პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტის ამ საკითხზე უკვე ვესაუბრე და დახმარების პირობაც მივიღე.“

ოთარ მაღლაკელიძე

ვატო გადაწყდა

ნაცვლიშვილი კალათბურთს და დიჟონს უბრუნდება

გადაწყდა! ვახტანგ ნაცვლიშვილი მოედანს უბრუნდება და ის გუნდიც ცნობილია, სადაც კარიერას გააგრძელებს. წუხელ ვატოს ფრანგმა ექიმებმა სამედიცინო ტესტი ჩაუტარეს და ქართველ ფორვარდს მოედანისკენ მწვანე შუქი აუნთეს. დიჟონელებსაც მეტი რა უნდოდათ, უმალ დაფაცურდნენ და ქართველთან გასაფორმებელი კონტრაქტიც დღე-დღეზე მზად იქნება. მაშ ასე, თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ, რისი მიზეზიც ფილტვის უმძიმესი ტრავმა იყო, ვახტანგ ნაცვლიშვილი „დიჟონს“ უბრუნდება და 16 თებერვალს მოედანზე გავა. გუშინ ვატოს საფრანგეთში რომ შევეხმიანეთ, გახარებული იყო და ამბობდა, ერთი სული მაქვს, მოედანზე როდის გავალო...



— ექიმებმა დეტალურად გამოიკვლიეს როგორც ფილტვი, ისე მთელი ორგანიზმი და პროფესიულ სპორტში დაბრუნების ნება დამრთეს. ძალიან გახარებული ვარ, საბუთების მოწესრიგება რომ მოესწროს, უკვე შაბათს გავიდოდი მოედანზე.

— ორგანიზმი მზადყოფნაშია, მაგრამ საკუთარი ფორმით თუ ხარ კმაყოფილი, გაუძლებ საფრანგეთის ჩემპიონატის სწრაფ ტემპს?

— მთლად უვარჯიშებელიც არ ვარ, სანამ აქ წამოვიდოდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში ვემზადებოდი და ფორმა ნაწილობრივ აღვიდგინე.

— საფრანგეთში მოულოდნელად რატომ წახვედი?

— „დიჟონიდან“ დამირეკეს და მორიგ გამოკვლევაზე მიხმეს. მათ იცოდნენ, რომ ფილტვი სრულიად გამიმრთელდა და ვარჯიშსაც შევუდექი.

— ტრავმა ორი წლის წინ მიიღე, ანუ ძველ კონტრაქტს ვადა გაუვიდა...

— მერე რა, ახალ კონტრაქტს დღე-დღეზე გამიფორმებენ. აქ მე საკმაოდ დიდ პატივს მცემენ, სჯერათ ჩემი და შეთანხმებულებიც ვიყავით, რომ როგორც კი გამოვჯანმრთელდებოდი, გუნდში დავბრუნდებოდი.

— როგორ ფიქრობ, ძველებურად კარგად ითამაშებ „დიჟონში“?

— ფიზიკურად არავითარი პრობლემა არ მაქვს. მართალია, თავიდან ისეთ ფორმაში ვერ ვიქნები, როგორც ბოლოს „დიჟონში“ ყოფნისას, მაგრამ მთავარია, თამაშის ნება დამრთეს და ადრე თუ გვიან სასურველ ფორმას აღვიდგენ. თავდაპირველად ამპლუაშეცვლილი ვიქნები: თუ ადრე სხვები მასვენებდნენ, ახლა მე შევცვლი ხოლმე მცირე ხნით გუნდის წამყვან მოთამაშეებს. ეს ჩემთვის უჩვეულოა, რადგან სადაც კი მითამაშია, ლიდერი ვიყავი, მაგრამ ახლა სხვა გზა არაა. ისეთი ტრავმა გადავიტანე, კარიერის დასრულება რომ არ მომიხდა, მადლობელი ვარ. სეზონის ბოლომდე ჯერ კიდევ კარგა ხანია და თუ მანამდე ვერ ჩავდექი ძველ ფორმაში, ზაფხულში აუცილებლად მივახერხებ.

ბიბლიოთეკა

— უკვე ივარჯიშე დიჟონელებთან?

— კი, პირველად გუშინ ვივარჯიშე, სანამ ექიმები გამსინჯავდნენ, ამიტომ ზედმეტ დატვირთვებს მოვერიდეს. მხოლოდ ბურთის სროლაში გავივარჯიშე და ცოტა ვიძუნძულე. ხვალიდან კი სრულფასოვან ვარჯიშს შევუდგები.

— მოედანზე როდის გახვალ?

— შაბათს საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურია და პროფესიულმა ლიგამ მანამდე რომ მომცეს ლიცენზია, ვითამაშებ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ მოესწრება. ასე რომ, 16 თებერვლამდე მოძიწევს ცდა, სანამ თასის გათამაშება დაიწყება, მანამდე კი მთელი დატვირთვით ვივარჯიშებ.

— გამოდის, ეროვნულ ნაკრებსაც უბრუნდები...

— მოედანს დავუბრუნდი და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ნაკრებსაც დავეხმარები. არ ვიცი, ამაში ხელი რამ უნდა შემიშალოს.

— საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც ხარ და „დიჟონში“ თამაშს ამ თანამდებობას როგორ შეუთავსებ?

— ფედერაციაში მუშაობას ალბათ ვეღარ მოვახერხებ, მთელი სეზონი საფრანგეთში უნდა ვითამაშო და ცხადია, სხვა საქმით ვეღარ დავკავდები. არ ვიცი, ჯერ ამ საკითხზე არ მიფიქრია.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ფაჩულიამ და ატლანტამ დეტროიტი დასცეს

ზარზეიმი



ზაზა ფაჩულია ბენ ვოლესს და მისიანებს გადაახტა

7 თებერვალი

ატლანტა 99:98 დეტროიტი

ატლანტა: აივი (6), ჯონსონი (29), სმიტი (4), ჰარინგტონი (14), ფაჩულია (34 წუთი, 16 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 1 დაფარება); ჩილდერსი (10), სტუდემაიერი (12), უილიამსი (6), ბატისტა (2)

დეტროიტი: ბილაფსი (20), ჰამილტონი (16), პრინსი (29), რ. ვოლესი (7), ბ. ვოლესი (5 ქულა, 11 მოხსნა); მაკდაიესი (11), არაიო (4), ევანსი (4), დელფინო (2), პანტერი

დალასი 102:87 ლეიკერსი

დალასი: ნოვიცკი (26 ქულა, 12 მოხსნა), ჰოვარდი (22 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსი: კუკი (28), ბრაიანტი (24)

საკრამენტო 104:96 მემფისი

საკრამენტო: მილერი (22 ქულა, 10 მოხსნა), მარტინი (22), არტესტი (18)

მემფისი: ჯეკსონი (24), გასოლი (15)

ნიუ იორკი 82:85 კლიპერსი

ნიუ იორკი: როუზი (23), კარი (14)

კლიპერსი: ბრენდი (25 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), კამანი (25 ქულა, 11 მოხსნა)

გვარიანი სენსაცია გამოაცხო „ატლანტა ჰოქსმა“. მაჩანჩალა ჯორჯიელებმა ყველასთვის მოულოდნელად შინ დაამარცხეს სადღეისოდ ნბა-ს საუკეთესო გუნდი „დეტროიტ პისტონზი“ და ამ საქმეში აცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა მათმა „ჯორჯიელმა“ ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ. ზაზას ამ სეზონში არაერთი უფრო მეტქულიანი მატჩი ჩაუთამაშებია, მაგრამ ვიცე-ჩემპიონებთან ჯახი იქნებ სეზონში და კარიერაშიც საუკეთესოდ ჩაითვალოს მისთვის. ნბა-ს უძლიერეს ფარდამცველ ბენ ვოლესთან ჯაჯგურში ფაჩულიამ 16 ქულა, 9 მოხსნა და ზედაც 4 პასი გააკეთა. ამასთან, მან ექვსი საჯარიმო ტყორცნიდან ექვსივე ჩააგდო, ხოლო თამაშიდან ასევე ექვსი ტყორცნიდან ხუთი უწია „პისტონზის“ კალათს. „დეტროიტის“ ორ მძლავრ მეფარეს, ბენ და რაშიდ ვოლესს კი ფაჩულიასთან ჭიდაობაში სულ რაღაც 12 ქულა შეუკოწიწდათ.

ზაზა კარგი იყო, მაგრამ ატლანტელთაგან საუკეთესო მაინც ჯო ჯონსონი გახლდათ, ვინც 29 ქულა უმარჯვა მძლავრ მეტოქეს და თანაც საფინალო სასტვენამდე 7 წამზე ოდნავ მეტი რომ რჩებოდა და „ჰოქსი“ 97:98 აგებდა, დრიბლინგით ჩაკოკლოზინა გამარჯვების ორქულეული. ჯონსონის ტყორცნამდე კი, უფრო კონკრეტულად, მატჩის დამთავრებამდე 42 წამით ადრე ფაჩულიამ ორი საჯარიმოთი ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა. „ატლანტამ“ ბოლო 10 შეხვედრაში მე-5 მოიგო, „დეტროიტმა“ კი ამ სეზონში პირველად წააგო ზედიზედ მეორედ.

ზედიზედ მე-12 მატჩი მოიგო „დალას მავერიკსმა“ და სეზონის საყოველთაო რეკორდიც დაისაკუთრა. თანაც ტეხასელებმა კობი ბრაიანტის „ლეიკერსი“ დააჩოქეს და დეკემბრის სამარცხვინო წაგებისთვის საკადრისი რევანშიც აიღეს. იმ წინა თამაშში კობი ბრაიანტმა „დალასს“ მარტომ მოუგო — მაშინ სამ მეოთხედში 62 ქულა ჩააგდო. ახლა დალასელებმა ლიგის პირველმექულე მხოლოდ 24-ს დააჯერეს. ნამატჩევს ბრაიანტი ჩიოდა, ორი-სამი და ზოგჯერ ოთხი კაციც კი მესეოდა და რა უნდა მექნაო.

კოტე ყორღია

NHL რეგულარული ჩემპიონატი

7 თებერვალი

ტორონტო 4:1 ატლანტა

0:0 2:0 2:1

1:0 პონიკაროვსკი (34), 2:0 ტაკერი (37), 2:1 ჰოსა (41), 3:1 ველვუდი (44), 4:1 მაკეიბი (58)

კოლორადო 5:2 ედმონტონი

0:0 3:1 2:1

1:0 ჰეიდუკი (23), 1:1 სტოლი (25), 2:1 ტანგეი (32), 3:1 ბლეიკი (40), 3:2 დვორუაკი (45), 4:2 ბრიუნეტი (46), 5:2 მაკლინი (48)

მინესოტა 5:1 ლოს ანჯელესი

0:0 3:0 2:1

1:0 როლსტონი (26), 2:0 დიუპი (31), 3:0 გაბორიკი (34), 3:1 ბელანჯე (46), 4:1 დიუპუი (54), 5:1 გაბორიკი (56)

ვაშინგტონი 0:5 ფლორიდა

0:0 0:3 0:2

0:1 სიმი (25), 0:2 სიმი (27), 0:3 კოლნიკი (40), 0:4 ნუინდაიკი (51), 0:5 სიმი (53)

მონრეალი 2:3 ბუფალო

0:0 1:2 1:0 0:1

0:1 აფინოგენოვი (26), 1:1 ჰიგინსი (31), 1:2 როი (20), 2:2 კოვალიოვი (57), 2:3 აფინოგენოვი (61)

ნიუ ჯერსი 7:4 ტამპა

3:1 3:0 1:3

1:0 ელიაში (3), 2:0 მედენი (4), 3:0 გომესი (9), 3:1 არტიუხინი (20), 4:1 ლანგენბრუნერი (33), 5:1 უაიტი (36), 6:1 მარტინი (38), 6:2 სიდორი (43), 6:3 ლეკავალიე (46), 6:4 ლეკავალიე (54), 7:4 ლანგენბრუნერი (55)

ფინიქსი 1:3 ჩიკაგო

1:0 0:2 0:1

1:0 სენდერსონი (10), 1:1 ვრბატა (21), 1:2 ლაპოინტი (22), 1:3 ბელი (51)



ტურინი

პიემონტის მხარის თეთრი ვნებანი



კარსმომდგარი ზამრთის ოლიმპიადის მასპინძელი ტურინია. თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თამაშები მხოლოდ ამ ქალაქში გაიმართება. ტურინთან ერთად შეჯიბრებებს უმასპინძლებენ პინეროლო, პრაგელატო, სესტრიერე, ჩეზანა, სოზ დული და ბარდონეკია. ამათგან ტურინი რაღა თქმა უნდა, უმასპინძლებს ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალს, შორტტრეკის მოციგურავეთა, ჰოკეისტთა და ფიგურულ მოციგურავეთა შეჯიბრებებს. დანარჩენი სახეობებს კი მთელს პიემონტის მხარეში გაფანტულ ქალაქებსა თუ სოფლებში გაიმართება

ტურინი

ჰოკეისტები ორ სპორტულ სარბიელზე „პალასპორტის სტადიონზე“ და დროებით კომპლექს „ესპოზიციონში“ ითამაშებენ. ფიგურული მოციგურავები და შორტტრეკის მოციგურავები გამოვლენ „პალაველეს“ სასახლეში, რომელიც 6 600 კაცს იტევს. ციგურებით მორბენლებს საკუთარი სტადიონი „ოვალ რინგოტო ექნებათ“, სადაც შეჯიბრს 8 500 კაცი ადევნებს თვალს.

ტურინში არის აგრეთვე სამიდან ერთ-ერთი ოლიმპიური სოფელი, სადაც სპორტსმენები და ოფიციალური პირები დაბინავდებიან.

ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალი ძირითადად „პიაცა კასტელოში“ გაიმართება.

რაც შეეხება თავად ტურინს, ქალაქის სახელწოდება კელტური ტაუდან წარმოდგება, რაც „მთებს“ ნიშნავს. ტურინის იტალიური სახელი ტორინო კი „ნამწვავს“ ნიშნავს.

ეს ქალაქი პიემონტის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია და მდინარე პოს სანაპიროზე მდებარეობს. მისი მოსახლეობა 1,7 მილიონი კაცია და 1861 წელს გაერთიანებული იტალიის დედაქალაქი გახდა. მერე, 1865 წელს, დედაქალაქად ფლორენცია გამოაცხადეს, ხუთი წლის შემდეგ კი — რომი.

შეხსენებაც არ გინდათ, რომ ტურინში სახლობს სახელგანთქმული „იუვენტუსი“. ეს ქალაქი იმითაცაა ცნობილი, რომ იგი შოკოლადის ფილების სამშობლოდ ითვლება. 1899 წელს კი ტურინში დაარსდა „ფიატის“ საავტომობილო კონცერნი.

პინეროლო

ეს ქალაქი, რომელიც ტურინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 კილომეტრით დაშორებულ მთებში მდებარეობს, 35 ათას მოსახლეს ითვლის.

6 ათას კვადრატულ მეტრზე გაწლაგებულ სპორტულ ცენტრში გაიმართება შეჯიბრებები კერლინგში, ხოლო ამ ოლიმპიური თამაშებისა და პარაოლიმპიადის დამთავრების შემდეგ სარბიელს გააუქმებენ და გადააკეთებენ.

ოლიმპიური თამაშების შემდეგ აქ მოეწყობა ჰოკეისტთა, ფიგურულ მოციგურავეთა, ციგურებით მორბენალთა შეჯიბრებები, აგრეთვე თიატრალიზებული წარმოდგენები.

პრაგელატო

აქ მოეწყობა სათხილამურო რბოლები და „მფრინავ მოთხილამურეთა“ ხტომები.

სათხილამურო კროსები პატარა სოფელ პლანში ჩატარდება, რომელიც ზღვის დონიდან 1530-1620 მეტრზე მდებარეობს, ხოლო ტრამპლინიდან ხტომებს თავად ქალაქი უმასპინძლებს.

მართალია, ამ ობიექტების სასტარტო ნიშნული ერთმანეთისგან ორი კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ ერთ მონაკვეთზე ტრასებს მხოლოდ ორასიოდე მეტრი აშორებს.

ეს ქალაქი, რომელიც ტურინს 80 კილომეტრითაა მოშორებული, ზღვის დონიდან 1518 მეტრზეა.

ტრამპლინიდან ხტომები ორგან გაიმართება. „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებები ევროპაში ძალზე პოპულარულია, ამიტომაც 7 500 გულშემატკივრისთვის გაითვალისწინეს ადგილი.

სესტრიერე

ამ მაღალმთიან სათხილამურო კურორტში გაიმართება სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებები როგორც ოლიმპიური, ისე პარაოლიმპიური პროგრამით. ისინი ორგან — ბორგატასა და ჩოლეში მოეწყობა, რომლებიც ზღვის დონიდან 2035 მეტრზე არიან. სწრაფდაშვებისთვის განკუთვნილი ტრასები განათებულია და იქ ღამითაც შეიძლება შეჯიბრებების გამართვა.

პინარელო

პრაგელატო



სესტრიერე



ჩეზენა

ბორგატაში გაიმართება ვაჟთა ტურნირები სუპერგიგანტში, სწრაფდაშვებასა და კომბირინებულ დაშვებაში, ხოლო ჩოლე ვაჟთა და ქალთა სლალომსა და გიგანტურ სლალომს უმასპინძლებს.

1930 წელს სესტრიერე „ფიატის" კომპანიის მფლობელ ჯოვანი ანიელის წყალობით მოდური კურორტი გახდა. სესტრიერე იყო პირველი ალპური კურორტი, რომელიც საგანგებოდ სამთო თხილამურების მოყვარულთათვის გაშენდა.

ჩეზენა

ამ ქალაქში, რომელსაც XII საუკუნის ისტორიულ ქრონიკებში მოიხსენიებენ, სამი ობიექტია: ბიატლონის, ბობსლეის და ქალთა სამთო თხილამურების სახეობებისთვის.

ბიატლონში შეჯიბრებები ჩატარდება სასიკარიოში, ბობსლეისა და სხვა ციგაობებს პარიოლე უმასპინძლებს, ხოლო ქალთა სწრაფდაშვებასა და სლალომ სუპერგიგანტს — ფრაიტევე.

ჩეზენას ყინულოვანი ტრასის სიგრძე 1435 მეტრია, სადაც მარცხნივ 11 მოსახვევია, მარჯვნივ კი — 8.

ამ ტრასაზე საათში 130 კილომეტრის სისწრაფის განვითარება შეიძლება და იქ მქროლავებს 7 ათასამდე გულშემატკივარი მიადევნებს თვალს.

ორგანიზატორებმა ბიატლონისტებისთვის სხვადასხვა სირთულის ორი ტრასა მოაწყვეს, რომელთა სიგრძე ორიდან ოთხ კილომეტრამდეა.

ამ ტრასებზე მოწყობილი 30 სასროლეთი ელოქტრონული მოწყობილობებითაა აღჭურვილი. აქვეა 3135-მეტრიანი ქალთა სამთოსათხილამურო ტრასა.

სოზ დული

იტალიის ეს სათხილამურო კურორტი თავისი მჩქეფარე ღამის ცხოვრებითა და მხიარულებითაა ცნობილი. აქ მოეწყობა შეჯიბრებები ფრისტაილში, რაც არანაკლებ სამხიარულო სანახაობა იქნება.

ამ სოფელში, რომელიც 1509 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, გაიმართება ქალთა და ვაჟთა ტურნირები მოგულში და სათხილამურო აკრობატიკაში, მათი გამოსვლების ნახვა კი ერთდროულად 8500 გულშემატკივარს შეეძლება.

სოზ დული გასული საუკუნის დასაწყისიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს იტალიის არისტოკრატთა წრეში. აქ პირველი საბაგირო გზა 1936 წელს აშენდა, რამაც დამსვენებლები უფრო მიიზიდა. მართალია, ამ სოფელში დასასვენებლად ჩასული ახალგაზრდების თავისუფალი ქცევის გამო მისი რეპუტაცია ცოტა არ იყოს შეირყა, მაგრამ ბოლო დროს ადგილობრივი ხელისუფალნი ცდილობენ, სოფელს ძველი სახელი და პრესტიჟი დაუბრუნონ. თუმცა, ღამის ცხოვრება კვლავ ისეთივე ხმაურიანი რჩება.

ბარდონეკია

ეს კურორტი უმასპინძლებს სნოუბორდის, პარალელური გიგანტური სლალომის და კროსმენთა შეჯიბრებებს, რომლებიც მდინარის ორთავ მხარეს გაიმართება. 1312 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ეს ქალაქი ტურინს საათნახევრის საავტოზეა დაშორებული. იგი იმ გვირაბთან ახლოს მდებარეობს, რომელიც იტალიას საფრანგეთთან აკავშირებს.

აქვეა ერთ-ერთი ოლიმპიური სოფელი მათთვის, ვინც ბარდონეკიაში, სოზ დულში და ჩეზენაში იასპარეზებენ.

ამთანდილ ბუკვიშელი

სოზ დული



ბარდონეკია

შეფი თაღლითებს ემუქრება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგის თქმით, ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე მის წინამორბედებთან შედარებით 72 პროცენტით მეტ სპორტსმენს შეამოწმებენ დოპინგზე.

როგმა აგრეთვე განაცხადა, რომ სისხლის ანალიზი პირველად მიიღებს სისტემატურ ხასიათს და ყველა სინჯი მთელი რვა წლის განმავლობაში შეინახება.

„ამგვარად, ათასობით ათლეტი შეძლებს პატიოსნად და სამართლიანად ბრძოლას — ამბობს როგი — ჩვენი ვალდებულებაა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც აღმოაჩენს უმრავლესობას, ვინც თაღლითობას მიმართავს".

მთლიანობაში ტურინში 1200 სადოპინგო ანალიზი ჩატარდება. იმავდროულად როგმა შეშფოთება გამოთქვა სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობების შენელებულ რეაქციასთან, იმასთან დაკავშირებით, რაც დოპინგის წინააღმდეგ მსოფლიოს კოდექსის რატიფიცირებას უკავშირდება. როგმა ამასთან გამოთქვა იმედი, რომ მთავრობები შეასრულებენ იმ დაპირებას, რომელიც კოდექსთან დაკავშირებით გამოთქვეს.

სოკ-ის პრეზიდენტი იმასაც იმედოვნებს, რომ ტურინში არ გამეორდება არბიტრებთან ის სკანდალი, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე იყო ოთხი წლის წინათ.

„მსაჯობასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა იყო განვლილ ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადებზე. ახლა კი, ამ საკითხში მნიშვნელოვან პროგრეს მივაღწიეთ" — ამბობს როგი და იქვე დასძენს, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში ძალაშია ახალი წესები, რამაც მსაჯობა უფრო გამჭირვალე გახადა.



ფიფქები შინ და გარეთ



ჭიანჭველების უზარმაზარ ბუდეს ჰგავს მთელი პიემონტის მხარე და, რაღა თქმა უნდა, მისი გული ტურინი. აქ ყველაფერს ოლიმპიური ფიფქები ადევს, მგონი, ამ საჭმელეულსაც, ასე გემრიელად რომ გვიმზერენ ტურინის ოლიმპიური სოფლის რესტორნის ვიტრინიდან. სოფელი კი ერთი კი არა, სამიც კი აუშენებიათ ხელგამრჯე პიემონტელებს — სტუმარ-სპორტსმენებს ტურინის გარდა სესტრიერეში და ბარდონეკიაშიც დააბინავებენ. თამაშებს ტურინისა კი ჰქვია, მაგრამ ეს სამრეწველო გიგანტი სპორტულ ღონისძიებათა მხოლოდ ნაწილს მასპინძლობს. ბევრი სახეობა ოლიმპიურ დედაქალაქს ათეულობით კილომეტრით მოშორებულ დაბა-ქალაქებში ჩატარდება.

ამ ყველაფერს პატრონი და მიმხედავი ხომ უნდა? ჟაკ როგ ზე უკეთესი ზედამხედველი ამ საქმეში წარმოუდგენელია. სოკ-ის პრეზიდენტმა ამ დღეებში ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში შენობა და მთა-ხევი არ დატოვა უნახავი. ყველაზე გულმოდგინედ დოპინგ-ცენტრებში იჭყიტება და უმცროსი დოპინგ-მუშაკებისგან მაქსიმალურ ყურადღებიანობას ითხოვს. სამარანჩის მემკვიდრე ხომ ყველაზე უფრო იმითაა ცნობილი, რომ დოპინგთან და ასეთ მამაძაღლობებთან შეურიგებელი ბრძოლა გამოაცხადა. ის ახლაც ყველას აგრძნობინებს, რომ „სისხლ და შარდბინძურ ოლიმპიელებს“ არც ტურინში დაინდობს. საშარდე სინჯარები გამზადებულია და მოუთმენლადაც ელის დამსველებელს.

ამ ფოტოზე კი როგს ოლიმპიური სოფლის ერთ ჩვეულებრივ ბინაში ვხედავთ, ვინმესთან კი არა, მის წინამორბედ ხუან ანტონიო სამარანჩთან ერთად. სამარანჩი, ხომ გახსოვთ, სოკ-ის საპატიო პრეზიდენტი და ყველა ოლიმპიური ყეენობის სასურველი სტუმარი გახლავთ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge